საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 5-6 ოქტომბერი. 2022 წ. №157 (9495) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდეული სიფცეკვაა, ფეფილებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკეტისიბაგე უსაძაგლესია.

პუტინი გაგიჟდა?!

უკრაინის საზღვრისკენ ბირთვული სამხედრო მატარებელი დაიძრა!

ბრიტანული TIMES-ის ინფორმაციით, ვლადიმირ პუტინმა უკრაინის საზღვრისკენ ბირთვული სამხედრო მატარებლის გაგზავნის ბრძანება გასცა.

სტატიაში, სამხედრო წყაროებზე დაყრდნობით წერია, რომ პუტინი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების მზადყოფნის დემონსტრაციას გეგმავს. Times-ის ინფორმაციით, მატარებელი, რომელიც ცენტრალურ რუსეთში შენიშნეს, დაკავშირებულია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მე-12 მთავარ დირექტორატთან, რომელიც ბირთვულ საბრძოლო მასალებზე, მათ შენახვა, მოვლა-პატრონობაზე, ტრანსპორტირებასა და დანაყოფებისთვის გაცემაზეა პასუხისმგებელი.

სააგენტო Reuters-ი კი საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ დასავლეთს რუსეთის სტრატეგიული ბირთვული ძალების ქმედებებსა თუ გადაადგილებაში, რაიმე საეჭვო ან უჩვეულო ამ ეტაპზე არ შეუნიშნავს.

UNIAN: უკრაინასა და პუტინს შორის მოლაპარაკებები შეუძლებელია!

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს 30 სექტემბრის გადაწყვეტილება აამოქმედა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ უკრაინა ვერ აწარმოებს მოლაპარაკებას რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან.

30 სექტემბერს, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინა მზად არის რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის, თუმცა არა ვლადიმირ პუტინთან.

„უკრაინა იყო და რჩება ლიდერად მოლაპარაკებების ძალისხმევაში. ჩვენი სახელმწიფო ყოველთვის სთავაზობდა რუსეთს შეთანხმებას თანაცხოვრებაზე თანაბარი, პატიოსანი, ღირსეული და სამართლიანი პირობებით. ცხადია, რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან ეს შეუძლებელია. მან არ იცის, რა არის ღირსება და პატიოსნება. ამიტომ, ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის რუსეთთან, მაგრამ რუსეთის სხვა პრეზიდენტთან“, — აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

„ვით იესომ გალილეა აირჩია, ჩვენ ტფილისი ავირჩიეთ ბებერი“!

სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში დედაქალაქის მერმა, **კახა კალაძემ** 2022 წლის საპატიო მოქალაქეები დაჯილდოვა და შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა. ახალი სტატუსი 20-მა საპატიო თბილისელმა მიიღო.

„მივესალმები თბილისს — ჩვენს მუდამ თანამედროვე, მოდერნისტულ, ახალგაზრდულ და რაც მთავარია, უძველეს დედაქალაქს, რომელიც უკვე 16 საუკუნეა ქმნის თბილისური ცხოვრების, სიყვარულის, ტოლერანტობის, მეგობრობის, კულტურის საოცარ ისტორიებს. მივესალმები ჩვენს თანაქალაქელებს. მინდა, განსაკუთრებული სიყვარულით მივესალმო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მყოფ თანამოქალაქეებს. ჩემო თბილისელებო, თქვენ ხართ თბილისის დღევანდელობა, მისი სახე და ანარეკლი. სწორედ თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ქალაქის განვითარება და წინსვლა. მე, როგორც დედაქალაქის მერი, გპირდებით, რომ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩვენი ქალაქი იყოს კიდევ უფრო ლამაზი, მოწესრიგებული და განვითარებული“, — განაცხადა კახა კალაძემ.

იხ. 4 გვ.

ბიძინა დვალი: ③

პიკასოს ბიჭი და სხვები

ალმართეს მკვდრებმა ცოცხალი კედელი!

ვალერიან გოძელიშვილი

⑤

სიკეთით განვლილი გზა

მარი აბრამიშვილი

⑦

მაგრამ ვაი, რომ დავაგვიანე!..

ნაცები აუცილებლად დაიშლებიან!



ირაკლი ღარიბაშვილი:

გერმანიას შეუძლია, კიდევ მეტად დაეყრდნოს საქართველოს!

საქართველოს და გერმანიას მეგობრული კავშირები ჩამოუყალიბდათ და სანდო პარტნიორებად იქცნენ. ჩვენ ვიზიარებთ თავისუფლებისა და დემოკრატიის ღირებულებებსა და საერთო ინტერესებს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენმა ურთიერთობებმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია და თვისებრივად სრულიად ახალ დონეზე ავიდა. დიპლომატიური ურთიერთობების განახლებიდან 30-ზე მეტი წლის შემდეგ, ჩვენმა ქვეყნებმა ნაყოფიერი და მრავალგანზომილებიანი თანამშრომლობა განავითარეს მრავალი მიმართულებით, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიის გაერთიანების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, გერმანიის ერთობის მაგალითზე ყველანი ვხედავთ, რისი მიღწევა ძალუძს ერს გაერთიანებული ძალისხმევით.

მისივე თქმით, საქართველო დიდად აფასებს გერმანიის როლს განვითარებაზე ორიენტირებული წამყვანი პარტნიორის რანგში, რომელიც ქმედითად ახორციელებს დახმარებას ისეთი ფედერალური უწყებების საშუალებით, როგორიცაა KFW, GIZ და სხვა გერმანული დაწესებულებები, რომლებიც ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებს მიჰყვებიან.

შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართა გერმანიის ელჩმა საქართველოში პიტერ ფიშერმა. შესრულდა საქართველოს, გერმანიისა და ევროკავშირის ჰიმნები. ღონისძიებას პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, თბილისის მერი კახა კალაძე, ასევე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ხალხის ძალას“ 5 დეპუტატი და რამდენიმე ექსპერტი შეუერთდა

ვფიძრობთ, რომ პირველი ეტაპის ამოცანები ჩვენმა მოძრაობამ წარმატებით შეასრულა და დღეს საზოგადოება ბევრად უკეთ არის ინფორმირებული იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გარშემო ვითარდება. თუმცა, საფრთხეები ჯერ კიდევ სრულად არ არის განეიტრალებული, რაც ჩვენს განსაკუთრებულ სიფხიზლესა და ყურადღებას მოითხოვს.

ღრმად გვწამს, რომ რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ჩვენი ქვეყნისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, შენარჩუნდეს მშვიდობა, რაც საქართველოსთვის სტაბილური განვითარების პერსპექტივის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა, — ამის შესახებ მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრმა სოზარ სუბარმა ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, საზოგადოებისთვის ასევე პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ დაიცვას ის ღირებულებები, რომლებსაც ევროპული ცივილიზაცია ეფუძნება და რომლებიც ქართული ტრადიციების განუყოფელი ნაწილია.

„მიგვაჩნია, რომ ამისთვის უმთავრესია, საზოგადოება სრულად იყოს ინფორმირებული ქართული და საერთაშორისო პოლიტიკის კულისებში მიმდინარე პროცესების შესახებ, რათა სიმართლით აღჭურვილი ხალხის ძალამ ჩვენი ქვეყანა საფრთხეებისგან დაიცვას.

საზოგადოებრივი მოძრაობა — „ხალხის ძალა“ დავაფუძნეთ რამდენიმე პარლამენტარმა. თუმცა, მოძრაობის შემადგენლობა მალევე გაფართოვდა და პირველივე ეტაპზე, მას შემოუერთდნენ საკრებულოს წევრები სხვადასხვა რეგიონებიდან.

დღეს საზოგადოებას გვინდა გავაცნოთ მოძრაობის კიდევ უფრო გაფართოებული შემადგენლობა, რომელშიც წარმოდგენილი არიან როგორც მოქმედი პოლიტიკოსები, ისე ექსპერტული წრეების წარმომადგენლები და ანალიტიკოსები. პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ფართოვდება მოძრაობის საპარლამენტო შემადგენლობა. კერძოდ, ჩვენს საპარლამენტო გუნდს დაემატება ხუთი პარლამენტარი: ეკა სეფაშვილი, ვიქტორ ჯაფარიძე, დავით კაჭარავა, დაჩი ბერაია და ზაალ მიქელაძე. მთლიანობაში, ჩვენი მოძრაობა საქართველოს პარლამენტში 9 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი, რაც ნიშნავს რომ საკანონმდებლო ორგანოში ჩვენ გვეყოლება რიცხოვნობით მესამე პოლიტიკური ჯგუფი.

გარდა ამისა, საზოგადოებრივ მოძრაობას შემოუერთდებიან საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ექსპერტები: თამთა მეგრელიშვილი, ზურაბ ქადაგიძე, დავით ქართველიშვილი, თამარ ჩიბურდანიძე, ნუკრი შოშიაშვილი, ოთარ ჭულუხაძე, ნიკა ქობულაძე და იოანე შაიშმელაშვილი. თითოეული მათგანი ძალზე ღირებული შენაძენია ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობისთვის და დარწმუნებული ვართ, ისინი უმნიშვნელოვანეს წვლილს შეიტანენ იმ მიზნების მიღწევაში, რომლებიც ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებას და მის სტაბილურ განვითარებას უკავშირდება.

ირაკლი კობახიძე:

ქართული ოცნება აუცილებლად ახდება!

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, 2012 წლის შემდეგ, ფუნდამენტური გარდატეხა მოხდა ქვეყანაში, როგორც დემოკრატიული განვითარების მიმართულებით, ასევე ყველა სხვა სფეროში.

„სამი დღის წინ ათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც 2012 წლის პირველ ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება. მაშინ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება, გარდატეხა შეეტანა პოლიტიკურ პროცესებში და ჩვენი დემოკრატიული სისტემის განვითარებაში. ადამიანების წამება, არაადამიანური მოპყრობა, გადავსებული ციხეები — ეს იყო წინა ხელისუფლების ხელწერა. ბიზნესის რეკეტი, ესეც მათი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დანაშაული იყო, რასაც ისინი ყოველდღიურ რეჟიმში სჩადიოდნენ. მთლიანად მოშლილი იყო დემოკრატიული სისტემა, ქვეყანას ჰქონდა სრულიად დამახინჯებული კონსტიტუცია, ქვეყანას ჰქონდა სააკაშვილისა და ადეიშვილის მიერ კონტროლირებული და მართული სასამართლო სისტემა, მედიამონოპოლია. იჭრებოდნენ ტელევიზიებში, ჩამოაყალიბეს სრულად მონოპოლიზებული მედიაგარემო და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი ჩააბარეს რუსეთის ფედერაციას. ასევე ჩააბარეს სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტები. მათ პერიოდში მოხდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარება და სრულად გაჩერდა წინსვლა დასავლური ინტეგრაციის მიმართულებით.

ასევე გახსოვთ, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მოლალატეობრივ რეზოლუციას, ევროსაბჭოს რეზოლუციას, რომლითაც პრაქტიკულად გაუფორმეს ოკუპაცია რუსეთის ფედერაციას და საკუთარი ჯარი დაადანაშაულეს აგვისტოს ომის დაწყებაში. ამ ღალატს, ბუნებრივია, ქართველი ხალხი მათ არასოდეს აპატიებს და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რატომაც ისინი ვერც ერთ არჩევნებში ვერ აღწევენ წარმატებას 2012 წლიდან მოყოლებული.

ასევე, შეგახსენებთ, რომ მათი ხელისუფლების პირობებში საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი 30 პროცენტს აჭარბებდა, 1 150 000 ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა სიღარიბის ზღვარს მიღმა და არ იყო შექმნილი არავითარი ქმედითი სოციალური გარანტიები საქართველოს მოქალაქეებისთვის. ეს იყო მდგომარეობა, რომელიც ჩვენ დაგხვდა 2012 წლისთვის და მას შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, იყო ფუნდამენტური გარდატეხა როგორც დემოკრატიული განვითარების მიმართულებით, ასევე ყველა სხვა სფეროში.

კერძოდ, აღმოიფხვრა ადამიანის ღირსებისა და ადამიანის უფლებების ხელყოფის სისტემური პრაქტიკა, მხოლოდ ციხეებში ორნახევარჯერ შემცირდა პატიმრების რაოდენობა, 12-ჯერ შემცირდა პატიმრების სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ეს ყველაფერი მეტყველებს იმ პრაქტიკაზე, რაც ადრე იყო ჩამოყალიბებული და იმაზე, თუ როგორ შეიცვალა ეს ყველაფერი. აღმოიფხვრა ბიზნესის რეკეტის სისტემური პრაქტიკა, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, რაზეც მხოლოდ სტატისტიკაც ძალიან ცხადად მეტყველებს. ჩამოყალიბდა პოლიტიკური პლურალიზმი, პრაქტიკულად რამდენიმე ოპოზიციური დეპუტატი იყო წარმოდგენილი იმდროინდელ პარლამენტში, მაშინ, როდესაც დღეს ათზე მეტი პოლიტიკური პარტია არის საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი. მედიაპლურალიზმი იყო სიახლე, რომელიც ჩამოყალიბდა 2012 წლიდან.

რაც შეეხება ტერიტორიების ოკუპაციას, რუსეთის წინსვლა საქართველოში გავლენების გაფართოების კუთხით, მთლიანად გაჩერდა 2012 წელს, ნულოვანი წინსვლა ტერიტორიების ოკუპაციის კუთხით, არაღიარების პოლიტიკა იყო ძალიან წარმატებული და ოთხი ქვეყანა დარჩათ ოთხად. სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტების მიყიდვის არც ერთი პრეცედენტი არ ყოფილა მას შემდეგ. ორი გლობალური კრიზისის მიუხედავად, ეკონომიკა 2012 წელს იყო 27 მილიარდი და წელს უკვე გადასცდება 70 მილიარდს. ანუ აქაც გვქონდა ფუნდამენტური წინსვლა. მარტო ბოლო ორი წლის განმავლობაში 4 200 დოლარიდან 6 000 დოლარამდე გაიზრდება ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური მაჩვენებელი.

სიღარიბეს რაც შეეხება, უკვე შემცირდა გასული წლის მაჩვენებლები 30 პროცენტიდან 17.5 პროცენტამდე. ეს ნიშნავს, რომ 450 ათასზე მეტი ჩვენი მოქალაქე ამოვიდა სიღარიბიდან და ეს მაჩვენებელი ნახევარ მილიონს გადასცდება ამ წლის ბოლოს. რა თქმა უნდა, მეტია გასაკეთებელი.

ბოლოს, ხაზს გავუსვამ ერთ მნიშვნელოვან მიღწევას, ჩვენ გვქონდა მშვიდობის ათი წელიწადი და ჩვენ გვქონდა სუვერენიტეტის ათი წელიწადი. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა პარტნიორს, მაგრამ ვიღებთ სუვერენულ გადაწყვეტილებებს ჩვენი ქვეყნის და ხალხის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. რა თქმა უნდა, სწორედ ასე გაგრძელდება ჩვენი პოლიტიკის წარმოება. კიდევ ერთხელ გადავუხდი მადლობას ბატონ ბიძინა ივანიშვილს იმ გარდატეხაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, რომელიც მივიღეთ ათი წლის წინ ჩვენს ქვეყანაში და მადლობა ქართველ ხალხს, რომელმაც დაამტკიცა სწორედ 2012 წლის პირველ ოქტომბერს, რომ აქვს ამბიცია, იყოს ევროპული ცივილიზაციის სრულფასოვანი წევრი. მადლობა ხალხს სიბრძნისთვის, რომელიც გამოავლინა გასული ათი წლის განმავლობაში.

გვჯერა, ქართული ოცნება ძალიან მალე აუცილებლად ახდება, კეთილდღეობა შევა თითოეულ ოჯახში და საქართველო აუცილებლად გამთლიანდება. ჩვენ დავიბრუნებთ როგორც აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ასევე ჩვენს აფხაზ, ოს ძმებსა და დებს“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ პარლამენტში.

კახა კალაძე:

საქართველოში ოპოზიცია არ არსებობს, რაც არის უდიდესი პრობლემა

„ოპოზიცია იწუნებს დეოლიგარქიზაციის კანონის უკრაინულ მოდელს. ერთ-ერთი მოდელია, რომელიც ევროკომისიამ მოიწონა, თქვენი შეფასებით, რა არის ამის რეალური მიზეზი“, შეეკითხნენ ჟურნალისტები დედაქალაქის მერს.

„რეალური მიზეზი არის ის, რომ საქართველოში ოპოზიცია არ არსებობს. ეს არის უდიდესი პრობლემა, ხედავთ, რა ვითარებაა, რა მდგომარეობაა, საერთოდ შეუძლებელია, რაღაც კონსტიტუციურ რეჟიმში გადავიყვანოთ. გამოცდილი კანონპროექტი, მოწონებული საერთაშორისო პარტნიორებისგან — ყველაფერი დასაწუნია მათი მხრიდან, ყველაფერი არასწორად კეთდება. გვესმის ეს რადიკალიზმი, ეს დამოკიდებულება, რაც პირველ რიგში, აზიანებს მათ. იმასაც ვიტყვი, რომ როდესაც ქვეყანას არ ჰყავს ოპოზიცია, ქვეყანაში არ არსებობს ოპოზიცია, ეს ცუდია ხელისუფლებისა და პოლიტიკური ცხოვრებისთვისაც“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

ვიქტორ ჯაფარიძემ POSTV-ის 52% იყიდა!

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა, ვიქტორ ჯაფარიძემ, რომელიც „ხალხის ძალას“ შეუერთდა ტელევიზია „პოს ტვ“-ის წილების 52% იყიდა. ამის შესახებ „ხალხის ძალის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, სოზარ სუბარმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ჩვენი მოძრაობის წევრმა, ვიქტორ ჯაფარიძემ შეიძინა ტელევიზია პოსტივის წილების 52%, აღნიშნული გარემოება ხელს შეგვიწყობს სათქმელი საზოგადოებამდე კიდევ უფრო ფართოდ მივიტანოთ“, — თქვა სოზარ სუბარმა.

აღმართეს მკვდრებმა ცოცხალი კედელი!

პიკასოს ბიჭი და სხვები

ზემოთ მოტანილი შეფასების პირველი ნაწილის ახლებური გააზრების დროც მოვიდა: ბოლო წლებში, განსაკუთრებით **2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდიდან და მის შემდგომაც, მკაფიოდ გამოჩნდა, რომ „დემოკრატია“ მათთვისაც, შიდა მოხმარების პირობებშიც, სიტყვის მასალა ყოფილა.** მთელი მსოფლიო მოწმეა იმისა, რომ „საჭიროებიდან გამომდინარე“, „დემოკრატიის ციტადელში“ როგორ მძვინვარებს, არც მეტი არც ნაკლები, ე.წ. ჯუნგლის კანონი.

ამერიკის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები იყო ყველაზე არათავისუფალი და აქედან გამომდინარე, ყველაზე არადემოკრატიული არჩევნები დემოკრატიული დასავლეთის ისტორიაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **ფოსტით მიცემული ხმა, ადვილად მისახვედრი მიზეზების გამო, არის ყველაზე დაუცველი საარჩევნო ხმა,** იმაზე დაუცველიც,ჟვანია-გოგორიშვილის „სომხურ კარუსელში“ რომ ტრიალებდა.

მგონი „ხელობას“ ვკარგავ... **ისე გაკოტრდა, ისე „გაფარჩაკდა“ და ისეთ „აფსაიტში“ დარჩა ულმერთო და უსამშობლო გვამთა „ომისა და ღალატის პარტია“, რომ მეც და ყველა ჩემისთანა სიმართლის პირში მთქმელი, უნებლიეთ, მგონი, ისეთსავე „აფსაიტში“ აღმოვჩნდით, ოღონდ მოედნის მეორე მხარეს.** წარმომიდგენია, დიდი საელჩოს სასოწარკვეთილი პატარა დიასახლისი, „რევოლუციური“ ნაცბრიგადის არაფორმალური მეთაური, ქალბატონი დეგნანი რა დღეში იქნება. თუმცა, რა წარმოდგენა უნდა, კრიტიკული (მამხილებელი) კითხვების დასმის დროს ისე ამოხტება ხოლმე ჩვენზე გადასავლელად სპეციალურად შეკერილი ოფიცრის ჩექმებიდან, რომ... ქალია, მაგრამ რა ვქნა, მაინც არ მეცოდება.

* * *

ჰო, მართლა, ოფიცერზე გამახსენდა, ეს ადამ კინზინგერი რა ყოფილა, ჰა?! მისი დანიშვნის დღიდან მოყოლებული, ბევრჯერ მითქვამს, სამხედრო ოფიცრებს (კინზინგერი, დეგნანი), ანუ **არაპოლიტიკოსს და არადიპლომატს იმიტომ ჩააბარეს საქართველოს მიმართულება, რომ ჩვენთან არა პარტნიორული პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების წარმოება, არამედ ნეოკოლონიური, ანუ პატრონყმური ურთიერთობის დამყარება აინტერესებთ-მეთქი.** ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი. ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, ბედი არ გინდაო? საქართველოსთან „მეგობრობაზე“ „ატვეჩაი“ ყველა რუსი ხომ სალდაფონი იყო და ახლა ესენი...

* * *

უკრაინის ომამდე, ამერიკის საგარეო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზის დროს, ხანდახან, ყურმოკვრით მოისმენდით შეფასებას – **დემოკრატია და სამართალი თავისთვის უნდათ, თორემ „მეგობარ“ ქვეყნებთან დამოკიდებულებაში წმინდა იმპერიალისტური ინტერესებით მოქმედებენო.** აღნიშნული შეფასების მეორე ნაწილთან დაკავშირებით, იმხელა გამოცდილება დავაგროვეთ, რომ... როგორც მაგალითი, მარტო ზემოხსენებული ორი ოფიცრის „მოღვაწეობა“ რად ღირს? დღეს „მეფე“ უკვე ბოლომდეა შიშველი და მისი ცქერა საზოგადოებაში დიდ იმედგაცრუებას იწვევს.



* * *

ვფიქრობ, ისევ და ისევ უახლესი პერიოდის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამერიკის პოლიტიკის

* * *

გამარჯვება ხომ გაიფორმა გაიდენის „იუბკიანი“ გენერლების პარტიამ, ეს არ იკმარა და ახლა, სააკაშვილის მოგონილი რომ გვეგონა, ყველა იმ ხერხს ხმარობს, მთელი ლიბერალური სამყაროსთვის საძულველ კანდიდატს, დონალდ ტრამპს მომავალ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება რომ შეუზღუდოს, ან სულაც აუკრძალოს. არადა, რა ძნან?.. რა მანძანებით გინდა დაუპირისპირდე „წარსულში ჩარჩენილი“ კონკურენტის წამყვან სლოგანს, რომ „კაცი კაცია და ძალი – ძალი“, ამერიკელთა უმრავლესობაში აღტაცებას რომ იწვევს?

* * *

მძიმეა, რაც უკრაინაში ხდება, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ **მსოფლიოს ყველაზე დიდი ტკივილი** დღეს ავღანეთია. უკრაინელს, ავღანელისგან განსხვავებით, იმის საშუალება მაინც აქვს, რომ იარაღით ხელში დაიცვას ქვეყნის, ერის, ოჯახის ინტერესი და ღირსება. ამ საქმეში მას ათეულობით სახელმწიფო უმაგრებს ზურგს. მისგან განსხვავებით, **რიგითი ავღანელი ბედის ანაბარაა მიგდებული და მუდმივად იმის მოლოდინშია, როდის „ეწვევა“ კაციჭამია თალიბი, ჯერ სულს რომ შეუგინებს და მერე ბაღლინჯოსავით რომ გასრესს.** ეს ყოველივე ხდება ოცწლიანი ამერიკული ქოლგის მოხსნის შემდეგ. რას მოხმარდა განვლილი ოცი წელი? რა მიზანს შეეწირა ამდენი ახალგაზრდა მეომრის (მათ შორის ქართველების) სიცოცხლე? იმას, რომ ყველა ოცნება და იმედი ერთ დღეში დამსხვრეულიყო?

* * *

რა არის მაინც ეს კრიზისი, არა, მეგობრებო? ყველა ხარვეზი და ბზარი უცებ გამადიდებელი შუშის ქვეშ მოექცევა ხოლმე. ჯერ იყო და, ახალმა „უფროსმა ძმებმა“ ნაფტალინიდან ამოღებული აკერმანის მიერ „დამოძღვრილი“ „მებრძოლებით“ მოინდომეს „სტრატეგიული პარტნიორი“ ქვეყნის აფეთქება-აყირავება. სულ ახლახან კიდევ, „დიდი“ საერთაშორისო კონფერენციის მეშვეობით სცადეს მორიგი გამანადგურებელი იერიშის ორგანიზება, რომელიც ასეთი „მეხისგავარდნა“ აფიშით იყო დაანონსებული – **„კონფერენციას მაკკეინის ინსტიტუტი საერთაშორისო ლიდერობისთვის, ჯორჯ ბუშის ინსტიტუტი და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი მასპინძლობს და მასში ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი დონის ლიდერები მონაწილეობენ“.**



ავოე-ე-ე!.. არც მეტი, არც ნაკლები – „უმაღლესი დონის ლიდერები“(!). გულიანად თუ გინდა იცინო და იხალისო, ამ „უმაღლესი დონის ლიდერების, სიას უნდა გაეცნო, გინდა წაღმა და გინდა უკუღმა. ამას თუ მასპინძლების სიასაც დაუმატებ... პირადად მე, პირველი, რამაც გონებაში გამიელვა, ეროსი მანჯგალაძის უკვდავი ფრაზა იყო – „აღმართეს მკვდრებმა ცოცხალი კედელი“.

* * *

არა, თეიმურაზ ხევისთავი მაზოხისტი არ ყოფილა, უბრალოდ უმწეო იყო, მორალური იმპოტენტი. **სულიერი და ხორციელი დაცემის სულ სხვა განზომილებაა, თან თეიმურაზ ხევისთავი იყო და თანაც მაზოხისტი –** ქართველ „რესპუბლიკელებს“ ვგულისხმობ. ჯაყოს და თეიმურაზის ტანდემი მარადიული თემაა და სამყაროს დასასრულამდე იარსებებს. ქართულ პოლიტიკაში ამ ფენომენის ახსნისთვის მონოგრაფიები მაქვს მიძღვნილი. უსუფაშვილი, ზაქარეიშვილი, ძაბირაძე, ხიდაშელი, ზურაბიშვილი უკვე მერამდენჯერ შეიყუჟნენ ქართული პოლიტიკის ყველაზე დიდი ჯაყოების, ნაცგამყიდველების პარტიის საბანქვეშ, რათა შინაგან მოთხოვნილებად ქცეული, ღირსებისგან დაცლილი „აქტივობებით“ მოიპოვონ „პური არსობისა“, ერთადერთი მიზნით – იქნებ როგორმე მიათრიონ გახრწნილი სხეულები ღრმა სიბერემდე.

ყველას ციტირებას ვერ მოვყვები. მაგალითისთვის, მათში ყველაზე „პატიოსანი კაცის“ სახელი რომ აქვს (ვახტანგ ძაბირაძეს ვგულისხმობ), მისი ერთი „ნააზრევიც“ იკმარებს: **„პოლიტიკურ ძალებს შორის უფრო დაპირისპირების შემოდგომა იქნება, ვიდრე თანამშრომლობის,** სამწუხაროდ, **ეს დაპირისპირება უფრო ხელისუფლების სასარგებლოდ შეიძლება წარიმართოს, ვიდრე ოპოზიციის“.**

გაიგეთ, ხალხო? – „სამწუხაროდო“, თანაც „შეიძლებაო“... ე.ი. ნეტა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არ „წარიმართოსო“ და ნეტა ისევ მიშას დრო დაბრუნდებოდესო... მოაჯდება ასეთს ჯაყო, აბა რას იზამს(?!).

* * *

ნაპოლეონ ბისმარკ ჯეფერსონ ბურბონ-სტიუარტ ატილა ცეზარ კლეო-პატრა კაიზერ-კეზერ კოზა-კაზანოვა კუტუ-ზოვ ელიზაბეტ ტალეირან-ფუშე ფელიქს-დევიდ-ბრაუნ-არახამია-ბუში ვილჰელმ-ორანელ-არაჟნელ ქინძ-ბონაპარტი, სამას-მეექვსე პალატიდან, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შორსმჭვრეტელობით, გონიერებით, ენერგიითა და შემართებით, კვლავინდებურად განაგრძობს დედამიწაზე მიმდინარე ყველა ომის ერთდროულად მართვასა და ახალი გადანაწილების პროცესში მყოფი მსოფლიო პოლიტიკის დალაგებას.

„გიხაროდენ, გიხაროდენ, მზემ ღრუბლები... (თუ რუბლები?)“... **ეჰ, ბატონო რეზო, ბატონო რეზო... ესაა თქვენი პიკასოს ბიჭი?..**

ბიძინა დვალი.

30.09.2022 წ.

„ᲕᲘᲗ ᲘᲔᲡᲝᲛ ᲒᲐᲚᲘᲚᲔᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ ᲐᲕᲘᲠᲩᲘᲔᲗ ᲑᲔᲑᲔᲠᲘ“!



(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) **ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ:**

1. **ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲛᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, დღემდე აქტიურად განაგრძობს საგანმანათლებლო საქმიანობას. ბატონი შალვა გახლავთ პედაგოგ-ნოვატორი; ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია და სახელმძღვანელო.

2. ყველასთვის საყვარელი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი – **თენგიზ არჩვაძე.** ბატონმა თენგიზმა ქართულ თეატრსა და კინოში 100-ზე მეტი როლი განასახიერა. ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის თენგიზ არჩვაძეს მინიჭებული აქვს „ხელოვნების ქურუმის“ წოდება; ქართული თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის იგი დაჯილდოებულია ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით. ყველაზე დიდი ჯილდო მაინც ის სიყვარულია, რომელსაც ბატონი თენგიზი მისი მაყურებლისგან გრძნობს და იღებს.

3. „სიყვარულისთვის. კარგო, ჩვენ მხოლოდ სიყვარულისთვის გავჩნდით და ვცხოვრობთ!“ – ცნობილი პოეტი და მთარგმნელი **ტარიელ ჯანტუარია,** არაერთი პოეტური კრებულის, საბავშვო ლექსების კრებულის, კრიტიკული წერილებისა და თარგმანების ავტორია. მისი ლექსები თარგმნილია მრავალ უცხოურ ენაზე. ბატონი ტარიელი არის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

4. საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, წმინდა გიორგისა და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენების კავალერი, ლეგენდარული კინორეჟისორი, **ელდარ შენგელაია,** ადამიანი, რომლის შემოქმედებას ტაშს უკრავს მსოფლიო, მისი კინოფრაზებით საუბრობს მთელი საქართველო. ვფიქრობ, ზედმეტია ჩამოვთვალო ფილმები, რომლის რეჟისორიც ბატონი ელდარი გახლავთ. ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი, გადავცე თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება

5. **ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲙᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ** – საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი. მას გადაღებული აქვს არაერთი მხატვრული ფილმი; მიღებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზები. ბატონი მერაბი წლების განმავლობაში, იყო საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის პედაგოგი, კინოს ენისა და სტრუქტურული კვლევის ლაბორატორის ხელმძღვანელი.

6. საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, რუსთაველის თეატრის მსახიობი **ჯემალ ᲓᲐᲓᲐᲜᲘᲫᲔ** – მას შესრულებული აქვს მთავარი როლები მრავალ სპექტაკლსა და 20–ზე მეტ მხატვრულ ფილმში. ბატონ ჯემალს მიღებული აქვს იპოლიტე ხვიჩიას და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიები. მას მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

7. **ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲣᲒᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔ** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იგი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში პირველი ქართველი მოსამართლე, „იურისტთა მსოფლიო ასოციაციისა“ და „სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის“ წევრი. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი. მინდია უგრეხელიძეს მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემია, უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლის წოდება, მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი.

8. პოეტი **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲞᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ** – არაერთი პოეტური კრებულის ავტორი. მისი ლექსები თარგმნილია უცხოურ ენებზე; არის შოთა რუსთაველის სახელობის, „საბასა“ (ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის) და გალას (ნომინაციაში: „წლის საუკეთესო სამაგიდო წიგნი“) პრემიების ლაურეატი. ასევე, მიღებული აქვს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია. ბატონი ვახტანგის სახელი მაინც ყველაზე მეტად გალაკტიონთან და „უცნობთან“ ასოცირდება.

9. თბილისი ყოველთვის გულით ესალმება კაცს, რომელსაც „თბილისის ქუჩებში ხეტიალი უნდა“ – **ᲯᲔᲛᲐᲚ ᲡᲔᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, კომპოზიტორი, საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ფედერაციის წევრი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. მის სახელს უკავშირდება არაერთი საავტორო კონცერტი, გამოშვებული აქვს სიმღერების ათი ალბომი.

10. და მაინც, ალბათ არავის უხეტილია თბილისის ქუჩებში იმდენი, რამდენიც ფოტოხელოვან **ᲒᲐᲓᲠᲘ ᲕᲐᲓᲐᲯᲙᲝᲠᲘᲐᲡ** – რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალისტთა ფედერაციის პრიზის „ოქროს ფრთის“ ლაურეატი, არაერთი ფოტოკრებულისა და წიგნის ავტორი, საქართველოსა და თბილისზე 18 საიმიჯო ალბომის ავტორი და გამომცემელი. გამომცემლობა „პალიტრა ლ“–თან ერთად, იგი არის პროექტ „ჩემი საქართველოს“ იდეისა და ფოტოების ავტორი. მის პერსონალურ გამოფენებს უმასპინძლა მსოფლოს სხვადასხვა ქალაქმა. არის საერთაშორისო ფოტოკონკურსების მონაწილე და ლაურეატი.

11. თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა **ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲔᲥᲐᲘᲐᲡ** – ფიზიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ბერიტაშვილის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) წევრი. აზერბაიჯანის, სომხეთის ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდიუმის და ჩეხეთის პურკინიეს საზოგადოების საპატიო წევრი. ბატონი გურამი არის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მას მინიჭებული აქვს ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

12. **ᲘᲚᲘᲐ ᲮᲔᲠᲝᲓᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** – საქართველოს ენერგეტიკის დარგის, გაზის სექტორის მოღვაწე, გაზის გამანაწილებელი სისტემების ზოგადი თეორიის ფუძემდებელი, ახალი ტექნოლოგიების, საქართველოს გაზის მეურნეობის განვითარების კონცეფციის ავტორი. ბატონი ილია საქართველოს გაზის დარგში პირველი მეცნიერებათა აკადემიური დოქტორია. იგი გახლავთ 32 გამოგონების და 98 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი. არის საერთაშორისო (აშშ-ის) ინჟინერ-ენერგეტიკოსთა ასოციაციის წევრი, ასევე, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის და საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ნავთობისა და გაზის მრეწველობის საპატიო მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორი. ილია ხეროდინაშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

13. **ᲚᲐᲣᲠᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** – მუსიკოსი, პიანისტი, თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ᲪᲐ ხელოვნების სკოლის დირექტორი. ქალბატონ ლაურას დამსახურებით, შიქმნა ძლიერი საგანმანათლებლო კერა. 65-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში, მან აღზარდა ასამდე მუსიკოსი, რომლებიც დღემდე წარმატებით აგრძელებენ აქტიურ პედაგოგიურ და შემოქმედებით საქმიანობას, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ქალბატონი ლაურა დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის საპატიო წოდება.

14. ინჟინერ-მშენებელი **ᲠᲔᲕᲐᲖ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ** – მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოები საქართველოს არაერთ კურორტზე. მისი მონაწილეობით განხორციელდა თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის რეკონსტრუქცია. ბატონი რევაზი იყო ვოკალურ ანსამბლ „თბილისის“ წევრი. იგი დღემდე საქმიანობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. არის ორი გამოგონებისა და სამეცნიერო შრომების ავტორი; მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში; დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

15. არქიტექტორი, პედაგოგი **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ** – შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ბატონი ვახტანგი არის არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი; იგი არის 160–მდე სამეცნიერო სტატიისა და 250-მდე პროექტის ავტორი; მიღებული აქვს არაერთი საერთაშორისო პრემია, მათ შორის არქიტექტურის მსოფლიო ბიენალეს პრემიები.

16. **ᲛᲐᲘᲐ ᲒᲝᲗᲣᲐ** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორი, საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. ქალბატონი მაია არის საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მოლეკულური ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის უნივერსიტეტების საერთაშორისო ქსელის (INUNIMAI) კოორდინატორი, ევროპის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის აკადემიისა (EAACI) და ევროპის რესპირაციული საზოგადოების (ERS) აქტიური წევრი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული აკადემიური და პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამაში ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, აზიასა და სხვა ქვეყნებში.

17. თბილისი მრავალეროვანი და მრავალეთნიკური ქალაქია. სწორედ ესაა მისი განსაკუთრებულობა და სიძლიერე, მისი კულტურის და ისტორიის საფუძველი. მინდა, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება გადავცე ბატონ **ᲕᲐᲜ ᲒᲐᲘᲒᲣᲠᲗᲡ**, რომელიც სომხურ ენაზე გამომავალი გაზეთით ემსახურება საქართველოს და თბილისს. ბატონი ვანი არის გაზეთ „ვრასტანის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს სომეხთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით საქართველოში ჟურნალისტიკის განვითარებისა და ქართულ-სომხურ ურთიერთობაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საქმიანობისთვის.

18. საპატიო თბილისელის წოდება გადაეცემა თბილისში დაბადებულ აზერბაიჯანელ პოლიტიკოსს და დიპლომატს, **ᲰᲐᲡᲐᲜ ᲐᲖᲘᲖ ᲝᲦᲚᲘ ᲰᲐᲡᲐᲜᲝᲕᲡ**. იგი არის აზერბაიჯანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. ბატონი ჰასანი სხვადასხვა წლებში იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში და უნგრეთის რესპუბლიკაში; ასევე, იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პირველი მუდმივი წარმომადგენელი გაეროში.

19. თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მინდა გადავცე **ᲔᲚᲘᲖᲐᲑᲔᲗ ᲡᲝᲛᲑᲐᲠᲡ**, ფრანგ მუსიკოსსა და პიანისტს, რომელსაც ქართული ფესვები აქვს. ელიზაბეტს, ბრიტანეთის სამეფო ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად, ჩაწერილი აქვს ბეთჰოვენის, შოპენისა და მოცარტის საფორტეპიანო კონცერტები; გამოშვებული აქვს 20-ზე მეტი მუსიკალური დისკი. ის არის საფრანგეთის ღირსების ორდენისა და ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში განსაკუთრებული ღვაწლისთვის ორდენის კავალერი.

20. და ბოლოს, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა ადამიანს, რომელიც იქცა მსოფლიო მოდის ერთგვარ გამოწვევად. **ᲓᲔᲛᲜᲐ ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ** – ქართველი დიზაინერი, ადამიანი, რომელმაც მოხსნა ყველანაირი ჩარჩო და სტანდარტი და მოდის ინდუსტრიაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. დემნა მოდის სახლ „ბალენსიაგას“ კრეატიული დირექტორია. სხვადასხვა წელს მუშაობდა ისეთ მოდის სახლებში, როგორებიცაა: Louis Vuitton, Vetements. არის ამერიკის მოდის დიზაინერთა საბჭოს ჯილდოს (CFDA Awards) მფლობელი.

„მინდა, თითოეულ მათგანს მივულოცო თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება და ვუსურვო წარმატებები ჩვენი ქალაქის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. კიდევ ერთხელ გილოცავთ „თბილისობას“, რომელიც არ არის მხოლოდ ქალაქის დღე. „თბილისობა“ არის დღესასწაული, სადაც ყველაზე კარგადაა გამოხატული თბილისის ხასიათი, მისი მრავალფეროვნება, სიჭრელე, სტილი და მიზანდასახულობა – იყოს მუდამ გამორჩეული ქალაქი“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ ᲗᲘᲗᲝᲗᲔᲣᲚ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲒᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ.



სიკეთით განვლილი გზა

მრავალჟამიერ, გრძელიშვილებო!

ლამის ცხოვრების საუკუნოვან მწვერვალზე აბილიკებული, სიცოცხლის იმ მთაგრეხილებიდან შენს ნავჯაფარ, ნაღვაწ მრავალფეროვან წლებს, მოვარგებულ, ნაამაგარ წუთისოფელს აწონ-გაზომავ, სული მადლიერებით აგევსება და სიამაყით უფრო ამაღლდები.

არადა, განვლილი, უკან დარჩენილი ათეული წლების გარიჟრაჟზე, დიდ რაჭულ ოჯახში დაბადებული, ონის რაიონის სოფელ სევადან აფრენილი ყმაწვილი მამასთან ერთად, ლეგენდარული სტალინის მიერ ქვეყნისთვის ნაბოძებ, ოდესღაც მტრისგან ნაოხარ, უდაბნოდ ქცეულ, ერთადერთი არიშის ციხის ამარა დარჩენილ ნაქალაქარს რომ თანატოლ თაობებთან ერთად ააღორძინებ, ააყვავილებ, მსოფლიოში დიდებულ ინდუსტრიულ ქალაქად დაუმშვენებ სამშობლოს, კაცმა ამაზე მეტი რაღა უნდა ინატრო.

ვსაუბრობთ **ვალერიან გრძელიშვილზე,** სულითა და გულით, მაღალი პროფესიონალიზმით მართლაც შესანატრ ადამიანზე... მის ცხოვრებაში იმდენი დიდი და ღირსეული თარიღებია, მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს.

დამსახურებული ეკონომისტი, ვაჭრობის სფეროს წარჩინებული, იმხანად საბჭოური შრომის წითელი დროშის ორდენით მკერდს რომ დაიმშვენებს, შემდეგ კი ღირსების ორდენსაც სრულიად ღირსეულად დაიმსახურებს, ალბათ ყველაფერია ნათქვამი.

რესპუბლიკის მთავრობამ რუსთავის ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად, ოფიციალური დადგენილებით, პატიოსანი და უანგარო შრომისთვის რუსთავის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილისა და ვაჭრობის სამმართველოს უფროსის თანამდებობა შეუქმნეს, სადაც 10 წელიწადი საოცარი წარმატებით იმუშავა.

რუსთავის საპატიო მოქალაქეს, ახლა მშობლიური ონელებიც მოეფერნენ.

ვაჭრობის რიგითი მუშაკობიდან ამაღლებულმა, დარგის ყველა მწვერვალი დაიპყრო, მისი ინიციატივით აშენებული ათობით გამორჩეული ობიექტი დღეს აც კარგ სამსახურს უწევს მრავალათასიან რუსთავქალაქს. ის, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში რუსთავის სავაჭრო სისტემა, ვეებერთელა ქვეყნის, ყოფილი საბჭოთა კავშირის, ერთ-ერთ წარმატებულ სისტემად იქნა აღიარებული, ესეც ვალერიან გრძელიშვილის დამსახურება იყო.

თვითონ დიდი ოჯახის მამა სხვებსაც თანადგომას არ აკლებდა, ასობით ახალგაზრდა სპეციალისტი აღიზარდა მისი მზრუნველობით, ხოლო აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომების დროს ბატონი ვალერიანი ერთ-ერთი პირველი დაუდგა გვერდით მებრძოლ და შემდეგ დევნილ მამულიშვილებს.

რუსთავქალაქი თითქმის ყველა სფეროში დღესაც რომ წარმატებულია, ამაში ვალერიან გრძელიშვილის დიდი წვლილია, მისი აღზრდილი თაობები დიდ პატივს მიაგებენ რუსთავისა და ონის საპატიო მოქალაქეს, საყოველთაოდ წარჩინებული ქართველის ნიმუშსა და მაგალითს – ვალერიან გრძელიშვილს და მის დიდებულ ოჯახს.

მრავალჟამიერ, გრძელიშვილებო!

გივი ჯაახუა,
რუსთავის საპატიო მოქალაქე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

იაგო გოგრიჭიანი,
ონის საკრებულოს წევრი,
ონის საპატიო მოქალაქე.

„ხელოვნების ოსტატი“ - უნიკალური „ვეფხისტყაოსნის“ ყდის მომჭედი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ მოქანდაკე გუჯი ამაშუკელს შეხვდა. გასული წლის სექტემბერში, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ში ვიზიტის დროს, გაეროს საჩუქრად „ვეფხისტყაოსნის“ სამუზეუმო ეგზემპლარი გადასცა, რომლის ყდაც, სწორედ, საფრანგეთში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა მოქანდაკემ, გუჯი ამაშუკელმა მოჭედა.

ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური საგანძურის ჭედური ყდა დამზადებულია ვერცხლისგან და გამოყენებულია 20-მდე დასახელების ძვირფასი ქვა. ეგზემპლარი ნიუ იორკში, გაეროს სათაო ოფისში, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილას განთავსდა. გუჯი ამაშუკელის მიერ შექმნილი ქანდაკებები, სიმბოლური ხასიათის ნაკეთობები, მედალიონები, სამკაულები თუ მითოლოგიურ-რელიგიურ თემებზე გამოქანდაკებული ოქროსა და ვერცხლის ნივთები მსოფლიოს ცნობილი მუზეუმების, გალერეებისა და კერძო კოლექციონერების საკუთრებაა. გუჯი ამაშუკელის მიერ შექმნილი ყოველი ნივთი უნიკალურია და არ მეორდება.

გუჯი ამაშუკელი „ხელოვნების ოსტატად“ აღიარეს, მინიჭებული აქვს ხელოვნების დარგში უმაღლესი დამსახურების აღმნიშვნელი ოფიციალური ჯილდო – ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კავალერის საპატიო წოდება, არის საფრანგეთის რაინდის ორდენის კავალერი, „ხელოვნების მეტრის“ ტიტულის მფლობელი.

მისი ნამუშევრები დაცულია ვატიკანის, ლუვრის, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მუზეუმებში, პარიზის და ლიონის დეკორატიული ხელოვნების, ნანტის, მანდეტის მუზეუმებში და სხვა.

შვეიცარიაში მცხოვრებმა ქართველმა მხატვარმა ნინო გამსახურდიამ ორგელიანების სასახლეში ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად ფერადი პიგმენტების ენციკლოპედია გადასცა, რომელშიც ძველი ცივილიზაციის მხატვრული სკოლებისთვის დამახასიათებელ პიგმენტებთან ერთად, შესულია ორი ქართული პიგმენტი – სამნაირი ყვითელი იასპი და ფირუზი.

ენციკლოპედია შვეიცარიაში რვა წლის განმავლობაში იქმნებოდა, მასზე ორი ავტორი მუშაობდა და მასში საქართველოში მოპოვებული ფერადი პიგმენტები სწორედ მხატვარ ნინო გამსახურდიას ძალისხმევით მოხვდა.

მხატვარ ნინო გამსახურდიას განცხადებით, ეს წიგნის მისი სამეცნიერო, ნახევრად სამეცნიერო, ნახევრად შემოქმედებითი მუშაობის ნიმუშია.

ნინო გამსახურდიას ფერადი პიგმენტების ენციკლოპედია ეროვნულ ბიბლიოთეკას

„მეც წიგნის ავტორებთან ერთად ვმუშაობდი, რომლებსაც მივაწოდე საქართველოში მოპოვებული ფერადი პიგმენტები, რომლებიც მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანი და უნიკალურია და გამოიყენებოდა ქართულ ხატწერაში, ფერწერაში, კედლის მხატვრობაში. დღეს ძალიან ცოტა ადამიანია, ვინც ამითაა დაკავებული. მე ვიცნობ მხოლოდ ერთადერთ ადამიანს – ეს არის არაჩვეულებრივი გეოლოგი, მინერალოგი მურად ტყემალაძე, რომელთანაც ვთანამშრომლობ უკვე რამდენიმე წელია. მისგან მე ვიღებ ქართული ქვებისგან დამზადებულ პიგმენტებს და რამდენიმე პიგმენტი შევიდა ამ წიგნშიც. ეს იყო ჩემი წვლილი ამ წიგნის დამუშავებაში.

წიგნი ჩამოვიტანე საქართველოში, რადგან მინდა რომ ჩვენ ქვეყანაშიც იყოს ხელმისაწვდომი. ეს არის უდიდესი ენციკლოპედია, არ არსებობს სხვა ასეთი ენციკლოპედია, სადაც შესულია ყველა ფერადი პიგმენტი, რაც მსოფლიოში მოიპოვება. მასში უმაღლესი ხარისხით და ზუსტადაა გადმოცემული ფერი, ისევეა დაბეჭდილი, როგორც არის ბუნებაში.

ჩვენ, სრულიად ციფრულ სამყაროში ვცხოვრობთ, ყველაფერი გადასულია ტექნიკაზე, ზოგადად, ძალიან მოვწყდით ბუნებას. პანდემიამ და ურთულესმა წლებმა დაგვანახვა, რომ ბუნებას უნდა დავუბრუნდეთ და დავუკავშირდეთ. ვფიქრობ, ჩემი წვლილი შემაქვს იმ საქმეში, რომ ვუბრუნდებით ჩვენს ფესვებს საიდანაც მოვედით, მინერალებისაგან ფერის დამზადების ძველი ტრადიცია ტექნიკურად ძალიან დავიწყებულია, ინფორმაციაც, ცოდნაც თითქმის აღარ არსებობს“, – აღნიშნა ნინო გამსახურდიამ.

ჩვენი კულტურის უცხოელთათვის უკეთ გამცნობნი...

კულტურის სფეროში დასაქმებული ან დასაქმების მსურველი გიდებისთვის, 2021 წელს, ოთხთვიანი გადასამზადებელი სასწავლო კურსი კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით შემუშავდა. 2022 წელს, ტრენინგები 2021 წელს შემუშავებული მოდულის მიხედვით წარიმართა და წარმატებით დასრულდა, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს. სასწავლო კურსის საზეიმო დახურვის ღონისძიება, რომელსაც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში გაიმართა.

კულტურის სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი, რომლის ჯამური მიუჯეტი (2021-2022 წწ.) 92 500 ლარია. მოიცავს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შემუშავებულ თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო მასალას. სასწავლო პროგრამა აერთიანებს პრაქტიკული სახელმძღვანელო უნარებისა და კომუნიკაციის ტექნიკის ყველა ძირითად ელემენტს. კურსის მიმდინარეობისას ჩატარდა პრაქტიკული სასწავლო ექსპედიციები თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ტრენინგის მონაწილე მოქმედმა გიდებმა და გიდობის მსურველებმა მოინახულეს საქართველოს მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ღვინის მარნები და კიდევ არაერთი, ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი, რომლებიც ტურისტებისთვის საინტერესოა. მათ მიიღეს შესაბამისი ცოდნა იმისათვის, რომ კომპეტენტური მომსახურება გაუწიონ ტურისტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ტრენინგებზე რეგისტრაცია 2022 წლის 25 მარტიდან 4 აპრილამდე მიმდინარეობდა. რეგისტრაცია 500-ზე მეტმა პირმა გაიარა და მათგან 150 კანდიდატი შეირჩა. სასწავლო კურსის მონაწილეთა შორის იყო საქართველოს სხვადასხვა მუზეუმის 50-მდე თანამშრომელი. რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეები, მათივე თხოვნით, კურსს საკომუნიკაციო პლატფორმა „ზუმის“ საშუალებით ესწრებოდნენ. პროგრამის შესწავლის შემდეგ 17 კანდიდატს მიენიჭა უმაღლესი კვალიფიკაციის გიდის, 133-ს კი – გიდის ასისტენტის სტატუსი.

გვანცა ჯობავას მსოფლიო წარმატება

ახალგაზრდა ქართველი მწერალი, მთარგმნელი, გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის წევრი გვანცა ჯობავა „გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის“ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

ეს პირველი შემთხვევაა, ასოციაციის 125 წელზე მეტი ისტორიის განმავლობაში, როდესაც ვიცე-პრეზიდენტად ქართველი მწერალი დაინიშნა. არჩევნებში მთელი მსოფლიოდან 114 წევრი ორგანიზაცია მონაწილეობდა. გვანცა ვიცე-პრეზიდენტის პოსტს ოფიციალურად 2023 წლის 1 იანვარს ორი წლით დაიკავებს.

– მიჭირს ემოციების გაცნობიერება, თუ რა ხდება ჩემს თავს. ვულოცავ ქართულ საგამომცემლო ინდუსტრიას, ეს ჩვენი საერთო წარმატებაა. ვულოცავ ჩემს ქვეყანას, იმიტომ რომ, ვფიქრობ, მომხდარი მორიგი დასტურია იმისა, რომ მიუხედავად ჩვენი დაუსრულებელი ძნელბედობებისა, სამყაროს მაინც ვჭირდებით, სამყარო მაინც გვიღებს კარს და დიდ საქმეებსაც გვანდობს, – ასეთი სტატუსი გამოაქვეყნა სოციალურ მედიაში ახალგაზრდა მწერალმა და გამომცემელმა.

რუსუდან ქოგულია

როგორც ვიცით, საქართველოში პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა რამდენიმე ათეული წლის წინ იდეური ერთიანობით ხდებოდა. ძალიან კარგად მახსოვს, თუ როგორ წერდა გია ჭანტურია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წესდებას და როგორ მუშაობდა ამ წესდებაზე მომუშავე ჯგუფი (გარკვეულწილად მეც მქონდა შეხება ამ ჯგუფთან). როგორ კითხულობდნენ სხვადასხვა ძლიერი პარტიების წესდებებს და ქმნიდნენ ახალ, საქართველოსთვის საჭირო პუნქტებს.

შემდგომ, გარკვეული მიზეზების გამო, პოლიტიკური ძალის გარშემო მომხრეების შემოკრება ხდებოდა არა იდეური, არამედ ლიდერის პიროვნებიდან, მისი ქარიზმიდან გამომდინარე, იმ მიზეზის გამო, რომ ჩვენში საკმაოდ იყო გამჯდარი სინტაგმა – „ის გადაგვარჩენს“!



ნაცები აუცილებლად დაიშლებიან!

ამ „პრინციპიდან“ მცირე დროში, უხეშად რომ ვთქვა ცნება „პოლიტიკური პარტია“ გადაიქცა უსაქმურთა თავშესაფრად, რომლებიც „პოლიტიკაში მიდიოდნენ“ არა პროცესების სამართავად, ან საკუთარი იდეების რეალიზებისთვის, არამედ როგორც მოცემულ დროში, ასევე პერსპექტივაში დასაქმებისთვის. პარტიის ლიდერის ფუნქცია კი განისაზღვრა ორგანიზაციის შესანახი ფულის მოძიებით და ისეთ პოლიტიკურ ძალასთან „შეკვრით“ (არ ვამბობ სიტყვა „ალიანსს“), ვისაც პარლამენტში მოხვედრის პერსპექტივა ჰქონდა. ცხადია ასეთ დროს ე.წ. მეორე დონის პარტმუშაკების ინტერესები ილახებოდა, რადგან სიაში მოხვედრის პერსპექტივა მხოლოდ პარტიის დამაარსებელს ჰქონდა, მაგრამ იყო იმედი — მერე მოგვხედავს (ამაზე სხვა დროს).

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ამ ე.წ. ქართული სტანდარტიდან თავიდანვე განსხვავებული ფორმატით ჩამოყალიბდა. ის შეიძლება შევადაროთ ბოლშევიკების პარტიას, რომელსაც ჰყავდა ქარიზმატული ლიდერი და რომელიც ძალიან მოკლე დროში ბელადად იქცა. იყო არსებულ ქართულ პოლიტიკურ ველზე დამყაყებული მდგომარეობიდან გამოსვლის იდეა, რომელსაც მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი უჭერდა მხარს და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მოახერხა დასავლეთიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის ფულის მოზიდვა, რაც ძალიან სწორი მიმართულებით დაიხარჯა.

და ყველაზე მთავარი — არ იყო მოწინააღმდეგე, რომელიც იდეით, ხალხისთვის მისაღები იდეით დაუპირისპირდებოდა.

მოდით, ამ ისტორიულ წიაღსვლებს თავი დავანებოთ, რადგანაც ძალიან შორს წაგვიყვანს და ვთქვათ, თუ რამ განაპირობა ის სავალალო მდგომარეობა, რაშიც დღეს ეს მონოლითური პოლიტიკური ძალა აღმოჩნდა.

პირველი და უმთავრესი არის ის, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში ჩამოყალიბდა ე.წ. პარტიული არისტოკრატია, რომლებიც უშუალოდ ბელადთან იყვნენ დაახლოებულნი. მათ ამ სიახლოვით შეიქმნეს კომფორტის იდეალური ზონა და პარტიის განვითარებაზე ფიქრს თავი დაანებეს.

ამაში ლომის წილი მიუძღვის თვით სააკაშვილს თავისი დიქტატორული „წიკებით“ და მიდრეკილებებით. სწორედაც დიქტატორული მიდრეკილებებით, რადგანაც თავად გახდა აბსოლუტური ძალაუფლების მატარებელი და მის გარეშე პარტიაში უწვრილმანესი საკითხების გადაწყვეტაც არ ხდებოდა.

ერთ მცირე შედარებას გავაკეთებ — მსგავსი პრობლემის წინაშე ფაქტობრივად ყველა დიქტატორი იდგა, რომელთაგან მხოლოდ ორმა, სტალინმა და ჩინგიზ ხანმა მოახერხეს მისი გადაჭრა და ორივემ ერთი მეთოდით — ელიტის პერმანენტული ცვლით და დაუსჯელობის სინდრომის ჩახშობით!

ცხადია, რომ დღევანდელ მდგომარეობაში მსგავსი რამ სრულიად შეუძლებელია.

2012 წელს, არჩევნებში სრული კრახის შემდეგ, პარტია დადგა რეალური რებრედინგის წინაშე, რაც მათდა სავალალოდ ვერ მოახერხეს.

გაქცეული ბელადი, რომელიც ფაქტობრივად ყველა ნაბიჯზე ისეთ შეცდომებს უშვებდა, რომლებიც „დანაშაულის ტოლფასი იყო“ (მოქალაქეობის დათმობა, მუდმივი დაპირებები და ა. შ.), უმარტივესი ლოგიკით პარტიას უნდა ჩამოეცილებინა, მაგრამ მისი ტახტი კომფორტის ზონაში მყოფმა არისტოკრატიამ შეინარჩუნა.

შეინარჩუნა არა პოლიტიკური წონით, არამედ იმ თანხებით, რომელთა განკარგვა სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის ხელში იყო და ცხადია პარტიულ სალაროს ახლადწამოჩიტულ იდეურ პარტმუშაკებს არავინ დაუთმობდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გადარჩენაში საკმაოდ დიდი გავლენა იქონია დასავლეთმა და „ქართული ოცნების“ ლიდერებმა, რომლებიც მიუხედავად საკმაოდ მაღალი პოსტებისა, ცნობიერებით მაინც ნაციონალურ მოძრაობას ეკუთვნოდნენ (გავიხსენოთ 2013 წლის მარტში უსუფაშვილის მიერ ნათქვამი ფრაზა — ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა ჩვენი უმთავრესი მოვალეობაა).

ეს შეიძლება მხოლოდ ერთი მიზეზით აიხსნას — ოცნების მაშინდელი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებული იყო, რომ მომავალზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფოს აშენება როგორც ნაციონალური მოძრაობის, ასევე ქართული ოცნების წევრთა სურვილი იქნებოდა და ისინი მთელ თავიანთ ენერგიას, კარგი, ეროვნული საქმეების კეთებისკენ წარმართავდნენ. სამწუხაროდ, ჩვენც, რიგით მოქალაქეებსაც ასე გვეგონა, მაგრამ...

ისევ ნაციონალურ მოძრაობას დავუბრუნდეთ:

მოხდა გარდაუვალი — პარტიის წევრთა უმრავლესობა არისტოკრატიას დაუპირისპირდა. იმ „არისტოკრატიას“, რომელსაც არც ინტელექტუალური და არც რევოლუციური თვისებები არ გაჩნდათ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ახალი ლიდერი ნიკა მელია, რომელმაც სცადა ბალასტის უმტკივნეულოდ ჩამოცილება სააკაშვილის საპატიო ლიდერობით. კომუნისტების დროს იყო ასეთი პრაქტიკა: ვთქვათ, რომელიმე ორგანიზაციაში რაღაცის პრეზიდიუმს ირჩევდნენ. დასახელდებოდნენ წევრები და პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარედ ლეონიდ ბრეჟნევი ისო (ითქვა კიდეც — რადგან სააკაშვილი სხვა ქვეყნის მოქალაქეა, ის საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ძალის თავმჯდომარე ვერ იქნებაო).

ცხადია, მსგავსი პერსპექტივა არც „არისტოკრატებს“, არც სააკაშვილს და არც დამფინანსებლებს არ ხიბლავდათ.

„მელიას ჯანყი“ ზუგდიდის მერის არჩევნების დროს დაიწყო.

დარწმუნებული ვარ, რომ სანდრა რულოვსის კანდიდატურის დაყენება, არა სააკაშვილის, არამედ „არისტოკრატების“ იდეა იყო, რომლითაც მელია ჩანაცვლდა.

ამ ნაბიჯით მათ მელიას „თავისი ადგილი მიუჩინეს“, რასაც მისი პროტესტი მოჰყვა.

სააკაშვილმა კარგად იცოდა, რომ „არისტოკრატები“ პარტიულ ფულს შესციცინებენ და სცადა ბალანსი დაეცვა, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო (რთულია 2000 კილომეტრიდან მსგავსი პროცესების მართვა) ვერ შეძლო.

პარტიის იდეურ, რიგით წევრებში დაიწყო ის კოროზია, რაც ნებისმიერი მონოლითური ორგანიზაციის დაშლის უმთავრესი მიზეზია. ზუსტად ასე მოხდა კომუნისტური პარტიის შემთხვევაში, როცა მაშინდელ პარტიულ არისტოკრატიას მეორე რანგის ახალგაზრდა, ენერგიული ლიდერები დაუპირისპირდნენ.

„ზასტოი“ (უძრაობა) მოედო მთელ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. რიგითმა წევრებმა, რომლებიც მზად იყვნენ აქციებისთვის, დიდი იმედგაცრუება ნახეს. ის მოლოდინები, რასაც ლიდერების ხისტი ლოზუნგები აჩენდა, საპნის ბუშტივით ქრებოდა.

მათთვის ერთადერთი ავტორიტეტი მხოლოდ სააკაშვილი იყო, რომლის გაფეტიშებამ პარტიის რიგითი წევრები იმ წარმართს დაამსგავსა, რომელსაც სჯერა რომ ღვთაების ტოტები მიწისძვრისგან დაიცავს და თავშესაფარს არ ეძებს.

სააკაშვილის ტუსაღობამ, მის გასანთავისუფლებლად გადადგმულმა ნაბიჯებმა, რომლებიც საზოგადოებისთვის არა რაიმე შემარყეველი ძვრების, არამედ სიცილის და პარტიის აბუჩად აგდების მიზეზად იქცა, ყველა მათგანში უიმედობის განცდა გააღვივა.

ბუნებრივია, მათ სურთ პარტიის ლიდერშიპის ცვლილება (ცხადია, სააკაშვილის ბელადობით) და საქმის კეთება, მაგრამ ამის საშუალება არ ეძლევათ, რადგან პარტიული სალარო ფაქტობრივად ჰაერშია და მის განმკარგავს არა პარტიის გაძლიერების, არამედ მისი დაშლის სურვილი აქვს, რათა ის თანხა მთლიანად მის ხელში გადავიდეს.

და რა მოხდება?

არაფერი ისეთი, რომელსაც ქართული საზოგადოებისთვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება.

პარტია ნელა, მაგრამ აუცილებლად დაიშლება.

ცხადია როგორც ყველა მსგავსი დაშლა, ესეც გარკვეულწილად მტკივნეული პროცესი იქნება. დღევანდელი ლიდერები შეეცდებიან სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებში გადანაწილებას, რასაც მეტ-ნაკლებად მოახერხებენ, მაგრამ ცხადია „на птичьих правах“ და დროთა განმავლობაში „ომამდელი ტანკისტების“ რიგებს შეუერთდებიან.

მაგალითად, დაიხურებიან ე.წ. კრიტიკული ტელევიზიები (წინასწარ ვიცი ყუუუურრრნალისტები არ დაიკარგებიან).

უმუშევრები დარჩებიან კოორდინატორები და რაიონული ორგანიზაციების წევრები, მაგრამ არც ისინი „დაიკარგებიან“.

ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველზე ნადირობას ისინი დაიწყებენ, ვინც სააკაშვილს აშკარად არ დაპირისპირებია (მაგალითად ხაზარაძე და სწორედ მის გასანეიტრალებლად იყო მოწყობილი ის „აქტი“, როცა ხაზარაძის მეუღლეს სააკაშვილის სურათის დახევა დააბრალეს).

ჩვენ რა ვქნათ?

არაფერი.

უბრალოდ, მოხალული მზესუმზირა მოვიმარაგოთ და დივანზე წამოწოლილებმა ვუყუროთ.



გია გაბრიჭიძე

არ გადავდგები!!! - აცხადებს მელია

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელია აცხადებს, რომ პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგომას არ აპირებს.

როგორც მელიამ ჟურნალისტებს შესაბამისი კითხვის საპასუხოდ განუცხადა, პარტიის თავმჯდომარეობიდან მისი გადადგომის შესახებ ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება.

„ეს არის ბიძინა ივანიშვილის ოცნება, რომელსაც ნამდვილად არასდროს ავუხდენ. არანაირად რეალობას არ შეესაბამება, 0,001 პროცენტიც არ არის ამის ალბათობის. რაც შეეხება განსხვავებულ აზრს, ეს უნდა იყოს პარტიაში და ამით ვამაყობთ. ჩემი თავმჯდომარედ არჩევის პირველივე წუთიდან განსხვავებული აზრი არსებობდა პარტიაში, ეს ნორმალურია და ასე უნდა იყოს, — განაცხადა მელიამ.

24 სექტემბერს საჩხერეში აღინიშნა გამოჩენილი ქართველი პოეტის **მარი აბრამიშვილის** დაბადების 100 წლისთავი.

საჩხერის კულტურის სასახლეში შეიკრიბნენ მარი აბრამიშვილის პოეზიის თაყვანისმცემლები, მისი შემკაცრესი და ნარეკლიანი ცხოვრების გზის დამფასებლები. სტუმრები თბილისიდან.

საჩხერელმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ტანჯული პოეტისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია, სანახაობა, რომლითაც დედაქალაქის ნებისმიერი თეატრი მოიწონებდა თავს.

გამომსვლელთა შორის იყვნენ ბადრი ქუთათელაძე, ზაალ ბოტკოველი, მზია ხეთაგური. გთავაზობთ ზაალ ბოტკოველის წერილს **მარი აბრამიშვილზე.**

მაგრამ ვაი, რომ დავაგვიანე!..

ამ წერილის სათაური იმ ლექსიდანაა, რომელმაც არაერთ ანთოლოგიასა თუ კრებულში დაივანა და ყველგან ყურადღებას იქცევდა სიყვარულისა და ერთგულების არაჩვეულებრივი განცდით, გამორჩეული პოეტური ხელწერით და ძალმოსილებით. დიდი ადამიანური სითბოთი და სევდით. დიახ, ბატონებო, ეს ლექსი, სახელად რომ „აი, სად შემხვდი“ ჰქვია, თავისი სიმძაფრით და ჟღერადობით ტოლს არ უდებს ამ თემატიკაზე შექმნილ სხვათა არანაკლებ გრწყინვალე სტრიქონებს. ეს ლექსი ასე მთავრდება:

მე ახლა შენს წინ დაღლილი ვდგავარ,
ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს, –
შენ რომ ეძებდი,
ის ქალი მე ვარ,
მაგრამ ვაი, რომ დავაგვიანე!

ამ სტრიქონების ავტორს პაემანზე არ დაუგვიანია არც თხუთმეტი წუთით, არც ნახევარი საათით, არც ერთი თვითა და არც ორი წლით. არა, მას ეს წლები უბრალოდ მოპარეს, ჯიბიდან ამოაცალეს. დიახ, გაქურდეს, როგორც ხელიდან წასულმა ნაძირალებმა. გაქურდვას ვინ ჩივის, ამქვეყნად სიყვარულისა და ბედნიერებისთვის მოვლეინილ 22 წლის უმშვენიერეს გოგოს ხელზეც და სულზეც ბორკილები დაადეს „დიადი საბჭოეთის მამებმა“ და ყინულოვანი ვიატკის საკონცენტრაციო ბანაკებში სასიკვდილოდ გაიმეტეს.

რატომ?

მხოლოდ იმიტომ, რომ ჭეშმარიტ ქართველად იყო დაბადებული, საქართველოში იყო დაბადებული და ევერთა მიწის თავისუფლებაზე ოცნებობდა, ჭეშმარიტ დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა... სიყვარულის, სათნოების და ქედუხრელობის კელაპტრად ჩამოქნილი ულამაზესად იღვენთებოდა მშობელი ქვეყნის საკურთხეველთან ისე, რომ საკუთარი თავისთვის არაფერს შესთხოვდა არსთა-გამრიგეს. სამშობლო იყო მისი ანი და ჰოე, აკი დაუფიქრებლად შესწირა მის არსებობას თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები, როცა ღრმად უნდა ჩაძირულიყო „ცაფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტში“ და ციურ ლაჟვარდებზე ეოცნება...

პოეტზე ვწერ, ბატონებო, მარი აბრამიშვილი რომ ერქვა სახელად, სიყვარულის აპოლოგეტი რომ იყო და სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა სილამაზის აღქმის ღვთაებრივი ნიჭი, სულიერი სიწმინდე, კეთილშობილება და ქართული ქედუხრელობა.

როცა მასზე ვფიქრობ, თქვენს მონა-მორჩილს მუდამ ედუარდ მუნკის ცნობილი ნახატი „კივილი“ მახსენდება, გაქვავებული, სასოწარკვეთილი კივილით გაქვავებული გრიგალები, რომლებიც ამ უმშვენიერესი პოეტის ბედისწერას მაგონებს.

მარი აბრამიშვილმა ხომ თავის თავზე იწვნია საბჭოთა იმპერიის ყველა „სიკეთე“. წლების განმავლობაში სიკვდილს ჩასცქეროდა თვალებში. ვიატკის ყინულოვან ჯურღმულებში ყინულისგულა ჯალათები სიფრიფანა გოგონას ძვლებს უმტვრევდნენ, სულს უმსხვრევდნენ და მაინც ვერაფერს გახდნენ, ვერ გატეხეს, ვერ დააძაბუნეს, წარმოუდგენელმა სიმწარემ და ტკივილმა ვერაფერი დაიკლო მის პოეტურ ძალმოსილებას, პოეტურ შთაგონებას, შემართებასა და რწმენას. სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს – სიყვარულმა გადაარჩინა, ქართული ცისა და მიწის სიყვარულმა. ამ სიყვარულმა შეაძლებინა შეუძლებელი და სამშობლოში დააბრუნა. ამ სიყვარულმა შეაქმნევინა უმშვენიერესი ლექსები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ხიბლავდა პოეზიის თაყვანისმცემლებს...

კარგად იცოდა და გასიგრძეგანებულიც ჰქონდა, რომ

დაფნის გვირგვინის ის რა ღირსია,
ეკლის გვირგვინით თავს თუ არ იმკობს,
წამების, ჯვარცმის ვისაც შიში აქვს,
არ შეიძლება პოეტი იყოს.

აი, ეკლის გვირგვინი მართლა გაუმზადეს XX საუკუნის კაციჭამია ვანდალებმა, ვეება, უშველებელი ეკლის გვირგვინი და მანაც უდრტვინველად დაიდგა თავზე. ჭირთა თმენის, დიდთა ჭირთა მალვის ნიჭი ჰქონდა და ყველაფერს გაუძლო, სამშობლოს – პოეტების საუფლოს ნახვის იმედმა გადაარჩინა. სამშობლოს უკვდავი ბერმუხის ფესვებს უნდა ჩავეწნაო და ამ იმედმა გადაარჩინა, მერე კი ნახეთ, როგორ დედასავით მოეფერა მის საესავ მიწას:

მიწას კურთხეულს, ღვთიშობლის კუთვნილს,
გშია, გწყურია, გცივა, კანკალებ,
ისევ ლექსებში გახვევ და გფუთნი,
სხვა რა გიშველო, შენ გენაცალე.

მგლების ხროვაში მოქცეულ ულამაზეს შველს შეადარა საქართველო, რომელიც მუდამ გარდასულ გმირთა ძვლებზე იდგა, როგორც ქარაშოტებითა თუ გრიგალებით ნალეწი და შემოძარცვული მუხა, რუსთველისეულ ავთანდილად რომ ქცეულა ყველა ღირსეული უცხო მოყმისათვის. თუ რამ ადარდებდა, ის ადარდებდა, რომ

ისე გაირყვნა, ისე წახდა მთელი ქვეყანა,
გულში დაგუბდა ზიზღი, მტრობა, შურისძიება,
ეს ბრბო, ეს ხალხი, სად არ იყო, სად არ ეყარა,
ცხოვრების ჭუჭყში დღესაც კიდევ არ იძირება!

ეს ტკივილიანი სტრიქონები თითქოს გუშინ თუ გუშინწინ დაიწერა, დღემდე რომ არ კარგავს თავის აქტუალობას. არ ასვენებდა კრწანისის თუ უფლისციხის ყაყაჩოების სევდა და ცდილობდა, სალბუნად დასდებოდა მათ ტკივილებს.

ლექსებით სულდგმულობდა, ლექსებით დღესასწაულობდა და ეს აძლებინებდა ამ ცოდვით დაცემულ დედამიწაზე. დიახ, ლექსებს – სევდის ნამცეცებს ურიგებდა თანამოძმეთ. მისი ლექსებიც საოცრად ჰგავდა მათ ავტორს, მასავით ბუნებრივნი და უშუალონი იყვნენ, ტკივილიანი და უღალატონი. არადა პოეტი თავად რამდენი ღალატის მოწმე და მხილველი იყო. მის თვალწინ იმსხვრეოდნენ პომპეზური, ქედმაღალი კოლოსები, რომლებსაც სინამდვილეში თიხის ფეხები და კურდღლის გული აღმოაჩნდათ. ძველ მოგონებებს – გამხმარ ყვავილებს შენი ღალატის დაჰკრავთ სურნელიო, – წერდა დიდი სინანულით და მაინც არ გაბოროტებულა, ბოლომდე არ დაუკარგავს ადამიანებისადმი რწმენა. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე აგებდა ტაძარს – ოცნების კოშკს, სადაც ლოცულობდა სამშობლოზე, საკუთარ, ხერხემალში გადატეხილ სიყვარულზე – დაუნისლავ ხსოვნაზე. თუ ნამდვილი სიყვარულია, მისი ტრფიალის ცეცხლზე გათოშილ ფრთებს გაითბობდა ქარიო. კარგად იცოდა, რომ ტანჯვა და გვემა სიყვარულის ერთ წამად ღირდა, იცოდა, რომ სიყვარულისთვის ღირდა ამქვეყნად შემოხეტება და ამ სიყვარულის ქურუმად გვევლინებოდა ბოლო ამოსუნთქვამდე. მე კი არ დავბერდი, დარდი გაჭაღარავდა, ძველი სიყვარულის სევდაო – წერდა გულგასენილი და ულექსო ღამეების ამოვსებით ცდილობდა დიდ ტკივილებთან ბრძოლას. ამ ბრძოლაში მისი ერთადერთი სუფლიორი გული იყო. ის კარნახობდა ყველაფერს და უპირველესად იმას, რომ ყოფილიყო სულის ძლიერების, ქედუხრელობისა და გამტანობის, სიმართლისა და სამართლიანობის, უშიშროებისა და გულმოწყალების, კეთილშობილებისა და სათნოების აპოლოგეტი და, შესაბამისად, ორგულობასთან და ღალატთან, პირფერობასთან და მლიქვნელობასთან შეურიგებელი მებრძოლი ამორძალი...

მისთვის უცხო იყო შური და თუ უყვარდა, მართლა გულით უყვარდა მოყვასი თვისი. რა წრფელი, სიყვარულით სავსე სტრიქონები უძღვნა გალაკტიონს, პაოლო იაშვილს, ნინო თარიშვილს, ნაზი კილასონიას, გივი ძნელაძეს, ოტია იოსელიანს, იოსებ ნონეშვილს, გიორგი შატბერაშვილს, ანა კალანდაძეს, მურმან ლებანიძეს, მუხრან მაჭავარიანს, ოთარ ჭელიძესა და არჩილ სულაკაურს. არც ახალგაზრდების წარმატება გამოეპარებოდა ხოლმე, განსაკუთრებული სიყვარულით ახსენებდა ორ თემურს – ჩალაგაშვილსა და შავლაძეს, გოჩა ხარანაულს.

ლოდებზე თავ-პირნალეწი
და მუხლჩახრილი მცხეთასთან,
მტკვარს მოჰყავს ხვევნა–ალერსით,
ვით ცელქი შვილი დედასა.

წერდა არაგვზე და სათუთად ეფერებოდა ამ გიჟმაჟ მდინარეს. მისი პოეზიაც, მისი შემოქმედებაც ხომ ვეება ლოდებს იყო შეხეთქებული და სასწაულებრივად გადარჩენილი იავარქმნას. არადა რა ნაზია და ლირიზმით სავსე მისი ლექსი. როგორ უყვარდა ნიავის მიერ ფრთხილად შეტოკებული აყვავებული ალუბლის ტოტის ყურება. წმინდა ცრემლით ნაბანი მთვარე თვით სიყვარულთან გასარითმად ეგულებოდა, ვარსკვლავები ხომ მისთვის უფლის ანბანი იყო.

მარი აბრამიშვილი სამშობლოს გულისგულის ბუხარში მოგუზგუზე კუნძივით იწვოდა და ჩინჩხლებად ჰყრიდა ლექსებს, ალპური ყვავილების დარ ლექსებს.

კარგად უწყოდა, რომ როცა სიცოცხლეს უჭირს, დასახმარებლად სიკვდილს უნდა უხმო და ასეც მოიქცა. სიკვდილიც მორჩილებით მიეახლა, რათა ქალბატონ მარის, მის ლექსს ახალ განზომილებაში დაეწყოთ სიცოცხლე.

ასეც მოხდა. იგი ახლა ზეციური საქართველოს მბინადარია და იქიდან იცავს მის წილ საქართველოს, ჩვენ კი იმის უმძაფრეს განცდას გვიათმაგებს, რომ თუკი გადარჩენა გვწადია, თუკი გვსურს კვლავაც ფრიალებდეს ჩალისფერი დროშები ჩვენს სულებში, ისე უნდა გვიყვარდეს სამშობლო, როგორც მარი აბრამიშვილს უყვარდა, ისეთივე ქედუხრელნი და გაუტეხელნი უნდა ვიყოთ, როგორიც მარი აბრამიშვილი იყო, გულის ფიცარზე რომ ჰქონდა ამოტვიფრული წმინდა სამება – მამული, ენა, სარწმუნოება.

ახლა მას ასი წელი უსრულდება და ამიტომაც უნდა შევბედო საუკუნეს გატოლებულ ჯვარცმულ შემოქმედს.

ქალბატონო მარი!

არ დაგიგვიანია!

არა და არა!

უფრო მეტიც, სულზე მოუსწარი შენს ძვირფას სამშობლოს და თანამოძმეთ, რომლებსაც, შეიძლება, ახლა ისე უჭირთ, როგორც არასდროს.

ჰოდა, ახლა შენი ლექსებიც ჩაებმებიან ამ უთანასწორო ბრძოლაში, ღვთის შეწევნით გაიმარჯვებენ და გრაალის მცველებივით მოევლინებიან იმ სიწმინდეებს, დღევანდლამდე რომ მოიყვანა ჩვენი საესავი ქვეყანა.

ზაალ ბოტკოველი

— — — — — — — — — — — — — — —

ჩვენ ამ საღამოს წაგვიყვანენ...

დაასხით ღვინო, დავლიოთ და სხვებსაც გავუყოთ
ცეცხლი, რომელიც ქართველთ გულებს მძაფრად ედება!
ჩვენ ამ საღამოს წაგვიყვანენ, მაგრამ რა ვუყოთ,
იქ ხომ ფარული მორკილები აღარ გვედება?!

აშკარად ვნახავთ ქართველების ქურდს, მოღალატეს,
ვინც ციხის გარეთ გული ჩვენთვის აათილისმა,
ჯაშუშის თვალებს, ვინც ამაყად შემოგვანათებს,
დავლოცოთ, რომ მან ღირსადა გვცნო ამ ადგილისა!

ვეღარ ვიხილავთ, მეგობრებო, გადაშლილ სივრცეს,
ჯაშუშმა რკინის სარკმელები თუ შეგვაპარა,
ჩვენი გულები მაინც მსხვერპლად და ჯილდოდ მივცეთ,
უფრო პატარა საპყრობილეს რომ შეგვაფარა.

ციხეს შებურავს ნაადრევი სიკვდილის ნისლი...
ჯაშუშმა ფხიზლად, ვგრძნობ, ჩვენ ღალატს გადაგვიმეტა,
ჯერ გაიხაროს მანაც შენი ციხეში მისვლით,
მერე კი მოვკვდეთ, საქართველომ თუ გაგვიმეტა.

მედეა ჯაფარიძე
პაოლო იაშვილის იუბილეზე

ბრწყინავდა იგი.
ბრწყინვა ამგვარი
ჰგავდა პოეტის ბედის ცვალებას
და ცრემლს –
ვით სულის ობოლ მარგალიტს
სხვა ბრწყინვალებმა მისცეს თვალებმა.
იჯდა.
არავინ ჰყავდა მშველელი
(მზერას სიტურფე ვით მოიგერებს?)
და მონუსხული
მისი მშვენებით
მუხლზე ხოხავდა მის წინ
სიბერე.
და პოეტების ძველი საუფლო –
ჭვრეტდა თბილისი,
ჭვრეტდა არგვეთი:
როდის გახსნიდა ბაგეს
საუბნოდ
მშვენიერების თეთრი ქალღმერთი.

როგორ კეთდება ფული მობილიზაციას გამოქცეულ რუსებზე...

5 დღეში 250 000 რუსი მამაკაცი გამოიქცა!

ათასობით რუსეთის მოქალაქეს ლარსზე არაადამიანურ პირობებში რამდენიმე დღის გატარება უწევს. საზღვრის ორივე მხარეს ფულის შოვნის ახალ გზებს ალღო მალევე აუღეს.

„გადადით გზიდან! გაათავისუფლეთ სავალი ნაწილი!“ — პოლიციელის ხმაში სასოწარკვეთა იგრძნობა. ლარსის საბაჟოს სიახლოვეს შეკრებილი ორმოცამდე კაცი მის „კანონიერ ბრძანებას“ ემორჩილება. მხოლოდ რამდენიმე წუთით. ყოველ 6-7 წუთში ისინი გარს ეხვევიან თვალებაწითლებულ და შუბლზე თმამიწებებულ მიგრანტებს, რომლებმაც ეს-ესაა საზღვარი გადმოკვეთეს. ძირითადად, ფეხით მოდიან. 3-4-კაციანი ჯგუფები თან მოაგორებენ ჩემოდნებს და ველოსიპედებს.

ველოსიპედები აქ ლამის ყველაზე „გასავლიანი“ საქონელია. დამხვედრებს ყიდვა უნდათ, ზოგ მომსვლელს — გაყიდვა. სანაცვლოდ ლარებს სთავაზობენ, მაგრამ ბევრი ზრდილობიანად იგერიებს ქართულ და სომხურენოვან მყიდველებს.

არადა, ბევრ ემიგრანტს ფული სჭირდება. **„უინტერნეტოდ ვარ, სომხეთში მივდივარ და ყველაფერი გზაში დამეხარჯა“,** — ჰყვება 22 წლის მაქსიმი. რამდენიმე დღის წინ მოსკოვიდან ავტობუსით წამოვიდა. თვითონ უკვე საქართველოშია, 5 ათასი რუბლი (244 ლარი) ავტობუსში დატოვა.

უახლოეს მომავალში რუსეთში დაბრუნებას აღარ აპირებს. **„ჩემს მეგობრებს უწყებები მისდით. როგორც კი მობილიზაცია გამოაცხადეს, მივხვდი, რომ ეგრევე ჩანთები უნდა ჩავალაგო და გამოვიქეცი“,** — ამბობს იგი.

ესკორტი საბაჟომდე

ვლადიმირ პუტინმა ნაწილობრივი მობილიზაცია“ 21 სექტემბერს გამოაცხადა.

27 სექტემბერს საქართველოს საზღვართან უკვე 16-კილომეტრიანი საცობი იდგა. ერთ-ერთი რუსული სააგენტოს მტკიცებით, დაახლოებით 5 ათასი მანქანა.

ისინი, ვინც ეს საცობი გამოიარა, „რადიო თავისუფლებას“ უყვებიან, რომ ლარსის გადაღმა, ჩრდილოეთ ოსეთში კორუფცია ყვავის. პოლიციასთან შეკრული გადამყვანები საცობის გვერდის ავლით საპასპორტო კონტროლამდე მიყვანაში 50 ათას რუბლამდე (დაახლოებით 2500 ლარი) ართმევდნენ. მუშაობდა „VIP მომსახურებაც“ — პოლიციის მანქანის ესკორტი 200 ათას რუბლად (9600 ლარად). ეს ჩაწყობები რიგს კიდევ უფრო ახანგრძლივებდა.

„ბარიკადებს ვაკეთებდით, მანქანებს ვუწვებოდით, ვიღაც კაცს ფეხზე გადაუარეს. რამდენიმე კაცს სცემეს. პოლიციასთან მივდიოდით და ისინი გვპასუხობდნენ, შეგვეშვით, თქვენით მოაგვარეთო“, — იხსენებს 25 წლის ბოგდანი.

23 სექტემბერს, ნაშუადღევს სანკტ-პეტერბურგიდან სამ მეგობართან ერთად, მანქანით წამოვიდა. იმავე ღამეს უკვე ვლადიკავკაზში იყვნენ, მაგრამ საზღვრის გადმოკვეთა მხოლოდ 28 სექტემბერს, დილით შეძლეს. ვლადიკავკაზიდან საქართველომდე 4 დღეზე მეტი დასჭირდათ.

საცობში წყალი ძალიან ჭირდა. ხუთლიტრიან ბოთლს 100 დოლარად (270 ლარად) ყიდდნენ. ბევრს უთავდებოდა ბენზინი. მანქანებს ადგილობრივებზე ყიდიდნენ „საბაზროზე გაცილებით დაბალ ფასად“, ან უბრალოდ ტოვებდნენ.

„მგონი, მანქანა დავტოვეთ მესამე დღეს. დღეში წინ 200 მეტრით მივიწევდით“. გზა ჯერ ფეხით გააგრძელეს. მაგრამ როცა მიხვდნენ, რომ მეტი აღარ შეეძლოთ, მარშრუტკაში „4 ადგილი“ იყიდეს. მიკროავტობუსმა საქვეითო საზღვრამდე მიიყვანა. ლარსი ორ ნაკადს ილებს პარალელურად - ფეხით და მანქანებით მომავლებს.

„ახლა თბილისში წავალ მეგობრებთან. დავიბან, გამოვიძინებ და მერე გადავწყვეტ, ალბათ სადმე სოფელში ვიქირავებ ოთახს და დისტანციურად ვიმუშავებ“, — ამბობს ბოგდანი.

ჯერ თბილისი ან ერევანი. მერე „ვნახოთ“

თითქმის არც ერთ მიგრანტს, რომელსაც „რადიო თავისუფლება“ ელაპარაკა, გრძელვადიანი გეგმა არ აქვს.

„ჯერ თბილისში, შემდეგ ალბათ ევროპაში (წასვლას) შევეცდებით“, — თქვა ნატალიამ, რომელიც ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდიდან მეგობარ ბიჭთან ერთად ჩამოვიდა.

თუმცა ბევრი სომხეთში მიემგზავრება. მძღოლები მგზავრებზე ნადირობენ. ერევანამდე ჩაყვანას სომხეთიდან მინივენებით ჩამოსულები, 12 ათას რუბლად (580 ლარად) აფასებენ. თბილისში ვისაც უნდა წასვლა, 5 ათასს სთხოვენ. ამაზე ორჯერ მეტი ღირს ბათუმამდე მგზავრობა. ლარსის იქითა მხრიდან მანქანები იშვიათად გადმოდის. სამაგიეროდ, საბაჟოდან კილომეტრ-ნახევარში, საქართველოს ტერიტორიაზე მინივენები და მსუბუქი ავტომობილებია ჩამწკრივებული.

„საქართველოში ვიქნები რამდენიმე დღე, შემდეგ შეიძლება თურქეთში წავიდე“, — ამბობს არტიომი, რომელიც 6 წლის წინ რუსულ ჯარში მსახურობდა. გაწვევის გარდა იმის შეეშინდა, რომ მალე რუსეთში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდება და საზღვარი საერთოდ ჩაიკეტება.

ქიბორჩხალები მდუღარე წყალში

სასაზღვრო პუნქტიდან რამდენიმე წუთის სავალზე კაცს ჯიპის საბარგული აქვს გახსნილი. წყალს და ძეხვიან პურს არიგებს. რუსეთის მოქალაქეა, საქართველოში ომის დაწყების შემდეგ ჩამოვიდა. ვინაობას არ ასახელებს, თუმცა ამბობს: **„როგორც კი ვნახე, აქ რა ხდებოდა, ვიყიდე რაც ხელში მომხვდა და მოვედი“.**

„2000 წელს დავიბადე და პუტინის მმართველობის გარდა არაფერი მინახავს“, — ამბობს ფაინა. 25 წლის ფიოდორთან ერთად, ის უკვე სამი დღეა დოკუმენტურ ფილმს იღებს რუს მიგრანტებზე. ორივე საქართველოში ომის დაწყებიდან ცოტა ხანში ჩამოვიდა.

„(ლარსზე) გვხვდებიან ადამიანები, ვინც დიდ ქვეყანაში, იმპერიაში დაიბადნენ. ბევრი საზღვარგარეთ არასდროს ყოფილა“ გვიწევს, ავუხსნათ, რომ ეს სხვა ქვეყანაა და სადმე დასარეკად ტელეფონში სხვა კოდი უნდა აკრიფონ“, — ჰყვება ფაინა და აღიარებს, რომ ამის გამო თავს უხერხულად გრძნობს.

ბოგდანს კი დიდი იმედი აქვს, რომ მობილიზაციის გამოცხადება პუტინისთვის დასასრულის დასაწყისი იქნება.

„არსებობს გამოთქმა, კიბორჩხალებს ცივ წყალში ხარშავენო. ისინი ვერ ხვდებიან, წყალი როგორ დუღდება, — ამბობს ბოგდანი, — სწორედ ასე, ნელა-ნელა წაართვა და შეუზღუდა პუტინმა რუსეთის მოქალაქეებს ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“.

ანუ კიბორჩხალები უკვე ხვდებიან, რომ წყალი დუღს? ეს ბოგდანმა დანამდვილებით არ იცის. თუმცა ჰგონია, რუსეთიდან კიდევ უფრო მეტი ადამიანი შეეცდება გაქცევას. იმედი აქვს, დაინახავენ, „რომ მათ გარშემო მტრულად განწყობილი ადამიანები არ ცხოვრობენ“ და ეს მოქმედებისკენ უბიძგებთ.

ფაინა მას მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება. **„ეს ძალიან პატარა იმედია“,** — ამბობს იგი. კარგად ხვდება, რომ საქართველოსა და ბევრ სხვა ქვეყანაში რუს მიგრანტებს თბილი დახვედრა არ ელოდებათ.

მათ შესაძლოა, რუსეთში დაბრუნებაც გაუჭირდეთ. 28 სექტემბერს, რუსეთის პარლამენტის, სახელმწიფო დუმის სპიკერმა, ვიაჩესლავ ვოლოდინმა თქვა, რომ ხელისუფლება ქვეყნიდან წასულთა სიას ადგენს. მობილიზაციას გამოქცეულებს მან მოღალატეები უწოდა. გამოცემა „ნოვაია გაზეტა ევროპის“ ინფორმაციით, მობილიზაციის პირველ 6 დღეში, რუსეთი სულ 260 ათასმა მამაკაცმა დატოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 21-26 სექტემბერს, ლარსის საბაჟოდან ქვეყანაში 53 136 რუსეთის მოქალაქე შემოვიდა.

სანდრო გვინდაძე,
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

პუტინმა უნდა იცოდეს, რომ ბირთვული ომის მოგება შეუძლებელია

NATO-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ბირთვული იარაღის ნებისმიერი გამოყენება აბსოლუტურად მიუღებელია.

სტოლტენბერგის თქმით, NATO სერიოზულად უნდა მოეკიდოს რიტორიკას, რომელიც რუსეთიდან, მათ შორის ვლადიმერ პუტინისგან მოდის. ამასთან, ის აღნიშნავს, რომ თუ პუტინი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, ამას რუსეთისთვის სერიოზული შედეგები მოჰყვება. რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა 21 სექტემბერს განაცხადა, რომ რუსეთს აქვს ბირთვული იარაღი და საფრთხის შემთხვევაში, მზადაა ყველა საშუალება გამოიყენოს.

რუსეთისთვის ომის საფასური გაუსაძლისი იქნება

საფრანგეთს სურს, რუსეთისთვის ომის საფასური გაუსაძლისი გახადოს, — განაცხადა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა, ელისაბედ ბორნმა.

„ჩვენი მიზანი თავიდანვე იგივეა: რუსეთისთვის ომის საფასური გაუსაძლისი გავხადოთ, მის ეკონომიკას მძიმე დარტყმა მივაყენოთ, ომის დაფინანსებაში ხელი შევუშალოთ. ეს ომი რუსეთმა დაიწყო. სწორედ ის გვაიძულებს ვიმოქმედოთ“, — აღნიშნა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა.

„სანქციები გაგრძელდება მანამ, სანამ პუტინი განაგრძობს კონფლიქტსა და დაპირისპირებას. სანქციებზე უარის თქმა უკრაინის მიტოვება იქნება. ეს იქნება ჩვენი ღირებულებების დათმობა“, — განაცხადა ელისაბედ ბორნმა.

რაც შეიძლება მალე დატოვეთ ოკუპანტების ტერიტორია

ჩეხეთის ხელისუფლებამ რუსეთში მყოფ თავის მოქალაქეებს მოუწოდა, ქვეყანა დატოვონ, — ამის შესახებ ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ჩეხეთის საგარეო უწყებამ გაავრცელა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ პრაღაში შეშფოთებული არიან რუსეთში უსაფრთხოების კუთხით გაუარესებული მდგომარეობის გამო და მოუწოდებენ მოქალაქეებს, რაც შეიძლება მალე დატოვონ რუსეთის ტერიტორია.

ასევე, ჩეხეთის საგარეო უწყება ურჩევს საკუთარ მოქალაქეებს, თავი შეიკავონ რუსეთში გამგზავრებისგან. ჩეხეთი ასევე აფრთხილებს მოქალაქეებს, რომ მოსკოვში ჩეხეთის საელჩო შესაძლოა, მუშაობის შეზღუდულ რეჟიმზე გადავიდეს. მანამდე, რუსეთის დატოვებისკენ მოქალაქეებს მოუწოდა აშშ-მა, პოლონეთმა, რუმინეთმა და ბულგარეთმა.

იმისიც მრცხვენია, მაშინ რომ ჩავიცინე...

ამ ამგვის შემდეგ ოციოდე წელი (შეიძლება ოცდაათიც!) გავიდა და გულს მიღრღნის ჩემი მაშინდელი განაფიქრი: ნუთუ, ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო?!

...გაზეთში ამოვიკითხე ახლობელი კაცის უბედურების ამბავი, – ერთადერთი ვაჟიშვილი დაღუპვოდა! არადა, ამ ქვეყანას (ღმერთს ვერ ვაკადრებ!) კანონი და სამართალი რომ ჰქონოდა, ამ პატიოსან ოჯახს ასეთი უბედურება არ უნდა დასტყდომოდა თავს!

არ ჩავსულიყავი და არ მენუგეშებინა, მეტი თუ არაფერი, უხამსობა იქნებოდა ჩემგან.

...მატარებელში ერთი, იმსოფლელი, ახლა უკვე თბილისელი მეგობარი შემხვდა. ისიც იქ მიბრძანდებოდა. დიდად წუხდა და ამ წუხილითა და ვიშით, დილით უკვე ბოლო სადგურს მივაღწიეთ. მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. ალალმართალი და გულწრფელი იყო ჩვენი წუხილი. თანამგზავრი თბილისში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და, რამდენადაც ვიცოდი, პატიოსანი კაცის რეპუტაცია ჰქონდა. მართალი გითხრათ, მანამდეც მსიამოვნებდა ამ კაცთან შეხვედრა, ოღონდ ეგ იყო, ყმაწვილობაში რამდენჯერმე გამიგონია სხვებისაგან – მამამისის შვილმა, როგორ მიაღწია ამხელა თანამდებობასო! მე მისი მამის ბიოგრაფიის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, გარდა იმისა, რომ სახალხო განათლების სისტემაში მუშაობდა და 36-ში თუ 37-ში დაღუპულიყო. არ მქონია შემთხვევა, დაწვრილებით გამეგო, თუ როგორ დაიღუპა!.. გარდაიცვალა თუ...

...ასე და ამგვარად, დილით რკინიგზის ბოლო სადგურზე ერთმანეთს დავცილდით!... ალიონზე ხომ არ მივადგებოდით ისედაც დამწუხრებულ ოჯახს?... დილიდანვე ხომ არ ავაფორიაქებდით?...

შუადღისას კი, მე და ჩემი „თანამგზავრი“ კვლავ შევხვდით ერთმანეთს, ახლა უკვე იმ უბედური ოჯახის ეზოში, სამძიმარზე მისულები. მტრისასო, რომ იტყვიან, იმაზე შემზარავი იყო, რაც იქ უბედურება ტრიალებდა. ვიდექით ჩვენთვის, ეზოს განაპირას და ზღვა ცრემლი გვიკუმშავდა გულს. მოდიოდნენ ნაცნობ-მოკეთეები, შედიოდნენ დარბაზში, სადაც ვაჟკაცი ესვენა და იქიდან მობრუნებულები ჩვენს მხარეს მწკრივდებოდნენ და ამოიოხრებდნენ...

მერე, თანასოფლელების პროცესია შემოვიდა ეზოში გვირგვინებით, ყვავილებით, ცრემლებით, გულწრფელი მწუხარებით! ახალგაზრდები, ქალები, ხანდაზმულები, ბავშვები და კიდევ ერთხელ ვიგრძენით ოჯახის დიდი უბედურება! თანასოფლელებს, რაიონში ცნობილი, ოთხმოც წლამდე მიღწეული ბერიკაცი მოუძღვოდა წინ... ვიცნობდი მე მას, „მახვშად“ იწოდებოდა იმ მხარეში და მისი სიტყვა კანონად იყო მიღებული. მართალი გითხრათ, მის დანახვაზე ჩემი თანამგზავრის სახეზე უეცარმა სიფერმკრთალემ გამაოცა კიდეც...

– ცუდად ხომ არა ხარ, მეთქი? – ვკითხე,

– არაო! – მიპასუხა, – ცოტა გულმა გამკრაო, რაღაც!...

ამასობაში თანასოფლელთა პროცესიამ აღასრულა თავისი ვალი და მათგან რამდენიმე, იმ ბერიკაცის მეთაურობით, ჩვენ მოგვეახლა. ბერიკაცის გაბრწყინებულმა სახემ, რიხიანმა ხმამ და აღფრთოვანებამ კიდევ ერთხელ გამაოცა...

– მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს... კიდევ მოვესწარი შენს ნახვას, ჩემო... (ყმაწვილობის სახელით მიმართა)... როგორ ხარ?... ცოლი? შვილი?... სამსახურის წარმატებები მესმის!... – ამ სიტყვებით გადაეხვია ჩემს „თანამგზავრს“ და საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

მეტად ამაღელვებელი შეხვედრა იყო. ამ მწუხარების ჟამს ასეთ აღფრთოვანებულ შეხვედრას მხოლოდ დიდი, უსაზღვრო სიხარულით თუ ახსნიდა ადამიანი.

– მიხარია, მიხარია ჩემი გაზრდილი ასეთი ცნობილი კაცი, რომ ხარ!... – სიყვარულს ვერ ფარავდა მოხუცი, – რა არის ბიჭო, ასე უნდა დამივიწყო, ა?... დღეს ვარ და ხვალ ვიქნები თუ, არა, ვინ იცის და... ასე უნდა დავიწყება?... იცოდე, შენი ცრემლები მაინც არ დამაკლო, ბიჭო!...

ჩემს მეგობარს მართლა აევსო თვალები ცრემლით. მერე, როდესაც პირველი შეხვედრის ემოციები ნაწილობრივ გაფერმკრთალდა, „თანამგზავრმა“ ხელმკლავი გამომდო და გავისეირნოთო მითხრა.

ეზოდან გავედით, ბილიკს ავუყევით და რცხილნარის ჩრდილში მოკამკამე წყაროსთან შევჩერდით.

ხელისგულივით ჩანდა აქედან სოფელი.

– იცი, ზაურ, მართალი იყო ის ბერიკაცი... ნახევრად, მართლაც მისი გაზრდილები ვართ მე და ჩემი და-ძმა...

მოწიწებით განვიმსჭვალე მოხუცისადმი.

– ჰო, მისი გაზრდილები ვართ... – თქვა და ჯიბიდან აბი ამოიღო, პეშვით მიაყოლა წყაროს წყალი და ჩაფიქრდა!

– რა იყო?... ცუდად ხომ არ გრძანდებით? – კვლავ ვკითხე.

არაფერი უთქვამს. კვლავ იყუჩა და ბოლოს თქვა:

– ამ კაცმა მოკლა მამაჩემი!...

მეხი გავარდა თითქოს!..

– ეს კაცი „მაუზერით“ დადიოდა მაშინ... დილაუთენია მოსულიყო... ბავშვებს გვეძინა... უთქვამს, რაიონში გიმარებენო... გზა ცოტა სახიფათოა და მე დამავალესო თქვენი გაცილება!...

...რაიონიდან თბილისში წასულიყვნენ... რა მიზეზით, რატომ, არ ვიცით!... მერე არ გვინახავს მამა!...

ვერაფერი ვთქვი... ან რა უნდა მეთქვა!

– ...რატომღაც, თავს ვალდებულად თვლიდა, „მზრუნველობა“ გამოეჩინა ჩვენდამი... დედა იტყოდა... მამა, ადრე ნაწყენიც კი, იყო ამ კაცზე და ახლა, ალბათ, ძველ ცოდვებს ინანიებსო... თუმცა ძველი წყენა რა სახსენებელიაო, ამასაც დაამატებდა!

ასე ფიქრობდა მთელი სოფელი...

რეაბილიტაციის შემდეგ კი, ჩემდა საუბედუროდ, საშუალება მომეცა დაწვრილებით გამომეკვლია ყველაფერი... ჩვენს „გამზრდელს“ თავისი ხელით მოუყვანია სისრულეში „განაჩენი“... ვინ იცის, ვისი და რისთვის გამოტანილი განაჩენი!...

...იმ დღეს არც მე და არც ჩემი „თანამგზავრი“ არ დავბრუნებულვართ მწუხარე ეზოში, ალბათ იმის შიშით, რომ კიდევ არ შევხვედროდით „გამზრდელს“. მხოლოდ თვეების შემდეგ ვუთხარით მიკიბულ-მოკიბული ბოდიში მწუხარე ოჯახის მამას. დაგვიჯერა თუ არ, არ ვიცი, მაგრამ მიგვიხვდა, რომ, რატომღაც, სხვანაირად არ შეგვეძლო მაშინ...

...როგორც მოგახსენეთ, ოცი თუ, ოცდაათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და გულში ბოღმად მრჩება იმ მოხუცი „გამზრდელის“ სახე და ჩემი უსუსურობა!... გაზეთში, ო, რამდენჯერ დამიწერია იმ „გამზრდელზე“, „ნამდვილ ბოლშევიკზე“ პატარა, მაგრამ მაინც, საგაზეთო წერილი, როგორც ჩვენს „აღმაშენებელზე“ და „ვეტერან კომუნისტზე“...

– ვაი, ჩვენ თავს, უბედურს!...

...დღესაც მიჭირს ბოლომდე ვთქვა სათქმელი. იბოლომდე ვერ ვარ მართალი მკითხველთან, ვერ ვასახელებ სოფელს, რაიონს, ვინაობას ერთისა, მეორისა, თუ მესამისა, მაგრამ მთავარია, ალბათ ნამდვილი, ამბავი, რომლის მსგავსი ვინ იცის რამდენი იყო და, რომლის სიმართლეში, ძალიან გთხოვთ, ეჭვი ნუ შეგეპარებათ. (პირიქით, დაწვრილებითაც კი, გიამბეთ) და თუ, მაინც ვერ ვამბობ ყველაფერს სრულად, „ძველის გადმონაშთად“ ნუ ჩამომართმევთ! რცხილნარის ჩეროსთან მოკამკამე წყაროს დაჩერებული ჩემი მეგობარი მაგონდება და არ მინდა „სავალიდოლოდ“ გავუხადოთ საქმე... რა ვქნა, მეც ვერ შევძელი მეტი!... იმის მრცხვენია, რომ ჩავიცინე მაშინ!



...მთავარი კი, მაინც ის არის, რომ ამ აწიოკებულმა თანამედროვე ცხოვრებამაც კვლავ არ ჩაგვაგდოს ასეთ დღეში...

ზაურ ფიფია

გერმანელები ქართული ღვინის დღეს აღნიშნავენ

საქართველოში გერმანიის საელჩოს ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 494.000 ლიტრი ქართული ღვინო გავიდა გერმანიაში ექსპორტზე.

„დღეს ქართული ღვინის დღეა! იცოდით, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 494.000 ლიტრი ქართული ღვინო გავიდა გერმანიაში ექსპორტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ 2021 წლის იგივე პერიოდთან შედარებით, გერმანიაში ღვინის ექსპორტი 27 პროცენტით გაიზარდა. მოხარული ვართ ამ მზარდი ტენდენციის გამო!“, – ნათქვამია საქართველოში გერმანიის საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სუბსიდირების პროგრამა რაჭველი მევენახეებისთვისაც

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში რთველთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განცხადება გააკეთა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს, რთველის მხარდასაჭერად, სუბსიდირების პროგრამა რაჭის რეგიონშიც განხორციელდება.

„ჩვენი მიზანია, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ყურძნის მოსავლის დაბინავების პრობლემა არც ერთ მევენახეს არ შეექმნას და მათ შესაბამისი შემოსავალი მიიღონ. ასევე, მნიშვნელოვანია, რთველის პროცესში კერძო სექტორის მონაწილეობა, მეტი სტიმული მივცეთ კერძო საწარმოებს, სრულად შეიძინონ რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში მოწეული ყურძენი და სახელმწიფოს ჩართულობა ამ პროცესში მინიმუმამდე შემცირდეს. შესაბამისად, მთავრობის გადაწყვეტილებით, სუბსიდიას მიიღებს ყველა ის კომპანია, რომელიც შეიძენს და გადაამუშავებს ხვანჭკარას მიკროზონაში მოწეულ არანაკლებ 3 ტონა ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენს და მევენახეს გადაუხდის არანაკლებ 7 ლარს. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში კომპანიებზე სუბსიდია გაიცემა 1 კგ ალექსანდროულისა და 1 კგ მუჯურეთულისთვის –4 ლარის ოდენობით. როგორც კახეთის, ისე რაჭა-ლეჩხუმის რეგიონშიც რთველი ორგანიზებულად და წარმატებულად ჩაივლის“, – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

ჯარის ქალაქი მახათას მთაზე



მახათას მთაზე „ჯარის ქალაქის – Army City.“ პროექტის მიხედვით 39 შვიდსართულიანი კორპუსი შენდება, რომელშიც 1092 ბინა განთავსდება, – ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, სამხედროებს ერთ კვადრატულ მეტრში დაახლოებით 100 დოლარის გადახდა მოუწევთ. ამ თანხის გადასახდელად სამხედროები უპროცენტო შიდა განვადებით ისარგებლებენ.

„ემეგობრე პოლიციას“



შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში ბათუმში სახალხო ლონისძიების შემდეგ სკოლებში საინფორმაციო შეხვედრები დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ბათუმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 საჯარო სკოლაში და №20 საჯარო სკოლაში მოსწავლეებს შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი იყო არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, მოზარდების ცნობიერების ამაღლება, როგორც საგზაო და სახანძრო, ასევე, სამოქალაქო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ.

საპატრულო პოლიციის, კრიმინალური პოლიციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოზარდებს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდეს მართლწესრიგის შესახებ მათთვის საჭირო და აქტუალურ თემებზე: ბავშვთა უფლებები (ასაკის შესაბამისად), ნაადრევი ქორწინება, ბულინგი და ორგანიზებული დანაშაული.

№157. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 5-6 ოქტომბერი, 2022 წელი.

რა იწვევს არა-ორგანიზებულ საგზაო მოძრაობას თბილისში!

ტრანსპორტს რამდენადაც შევზღუდავთ, იმდენად ვაფერხებთ მოძრაობას!

საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა ვერ ახერხებს მოსახლეობის ზრდისა და განაშენიანების ტემპს ფეხი აუწყოს. სასწავლო და სამუშაო წლის დაწყებასთან ერთად თბილისში პარალიზებულია ავტოსაგზაო მოძრაობა და ეს ხდება არა მხოლოდ პიკის საათებში, დღის განმავლობაში საცობების კერაა დედაქალაქის ყველა სტრატეგიულ სატრანსპორტო კვანძზე — საკაძისა და გმირთა მოედნებზე, თამარაშვილისა და უნივერსიტეტის ქუჩების კვეთაზე, 26 მაისის მოედანზე. დედაქალაქის მერი ადასტურებს, რომ საცობები ყოველთვის იყო თბილისში, მაგრამ ასე გადამეტებით არ ყოფილა და ეს გამოწვეულია იმ საშვილიშვილო სამუშაოებით, რომელიც ქეთევან დედოფლისა და მელიქიშვილის გამზირებზე მიმდინარეობს.

თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საგზაო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის „საქგზამეცნიერების“ გენერალური დირექტორი **თამაზ შილაკაძე** For.ge-სთან საუბრისას იმ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც დედაქალაქში სატრანსპორტო მოძრაობას განტვირთავდა.

ბატონ თამაზ შილაკაძის მოსაზრებით, პირველ რიგში, თბილისის დასაწყისიდან თბილისის ბოლომდე საჭიროა მტკვარზე გაკეთდეს საორიენტაციოდ 9-11 ხიდი; მეორე, უნდა გაკეთდეს კვანძები თამარაშვილის და ვაჟა-ფშაველას შუა გადაკვეთაზე, რისი მონახაზიც არსებობს და ახლა საჭიროა ამის დაპროექტება და განხორციელება. კერძოდ, კვანძი საჭიროა იმისთვის, რომ გზების ორ დონეზე იყოს გადაკვეთა, ქალაქში არის 4-5 ადგილი, სადაც უნდა გაკეთდეს ორ დონეზე კვანძი. თამაზ შილაკაძეს აუცილებლად მიაჩნია, ასევე, საფეხმავლო გვირაბების მოწყობა.

„ახლა რომ გაკეთდა საფეხმავლო გვირაბი რკინიგზის ქვეშ, ისნის რაიონში, ძალიან ლამაზი გამოვიდა. მივესალმები მერიის და ისნის გამგეობის ამ ინიციატივას, რადგან ბავშვები წინათ რკინიგზაზე ფეხით გადადიოდნენ სკოლაში წასასვლელად, ახლა კი ამ მიწისქვეშა გვირაბით ისარგებლებენ. პარალელურად, კიდევ 6-7 ადგილას არის გასაკეთებელი ასეთი საფეხმავლო ხიდი მთელ სიგრძეზე, ზაჰესამდე. ასეთი ღონისძიებები აუცილებელია ქალაქში მოძრაობის გასახსნელად“.

თბილისში ავტომობილების შეზღუდვა არ იქნება სწორი, პირიქით, უნდა გავხსნათ მოძრაობა, დამატებითი ზოლების შექმნაა საჭირო, გზაჯვარედინებზე შეიძლება ზოგან საჭირო გახდეს ორდონიანი მოძრაობაც, რადგან ტრანსპორტს რამდენადაც შეზღუდავ, იმდენად ართულებ მოძრაობას. რაც მთავარია, მაგისტრალური ტრანსპორტი, რომელსაც შეუძლია გაიაროს შემოვლით გზაზე და არა მაინცდამაინც დედაქალაქში, აჯობებს, თბილისში არ შემოვიდეს.

„ძალიან აქტიურად არის დღეს ქალაქის მერი ჩართული საგზაო სისტემის მოგვარებაში. რამდენიმე წელია ვამბობ, რომ უნდა გაკეთდეს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ქსელი ქალაქში, სადაც ჩაჯდება არსებული გზები და უკვე არსებული გზების კორექტირება მოხდება. ეჭვი არ მეპარება, ამას შეძლებს თბილისის მერია, კახა კალაძე ძალიან ენერგიულია, მერის მოადგილე ბენდელიანია ამ საქმეში ჩართული, მაგრამ თუ ჩვენს ხედვას გაიზიარებენ, კარგი იქნება. არა უცხოელების, არა თანამდებობის პირთა, არამედ პროფესიონალების მიერ უნდა იყოს განხილული ერთიანი საგზაო სატრანსპორტო სისტემა. შემოვლითი რკინიგზის პროექტიც არ უნდა შეჩერდეს, ეს თბილისისთვის აუცილებელია, ოღონდ აქაც ბევრი საკითხია მოსაგვარებელი, პროექტს გადახედვა სჭირდება პროფესიონალთა მიერ, შეიძლება ზოგან რკინიგზის ღერძის გადაწევაც იყოს საჭირო. ქალაქს უნდა ჩამოშორდეს ისეთი დიდი მაგისტრალი, რომელიც დედაქალაქის ცენტრში შემოდის“, — აცხადებს თამაზ შილაკაძე.

„ანტიკორუფციული მოძრაობის“ თავმჯდომარე **ვასილ ურუშაძე** აცხადებს, რომ თბილისში საცობების გამომწვევი მიზეზი არასწორი მენეჯმენტი, კორუფციული ინტერესებია, როცა დროში გაჭიანურებით ხდება ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია. მაგალითად, მეორე წელია, მეტრო „გოცირიძე“ დაკეტილია და მიმდინარეობს დაუსრულებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასეთივე მდგომარეობაა „ვარკეთილის“ მეტროში, მეტრო „გურამიშვილზე“. ქეთევან წამებულის გამზირის რეაბილიტაცია გახსნილად და დასრულებულად წარმოგვიჩინა თბილისის მერმა მაისის ბოლოს, მაგრამ დღემდე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და კვლავაც გადაკეტილია. სამწუხაროდ, ანალოგიური ბედი ელის მელიქიშვილის გამზირს.

მანანა ნოზაძე

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

დადგენილება

არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №01-147/2022

ქ. თბილისი **30 სექტემბერი, 2022 წელი**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის და არბიტრაჟის უწყების საჯაროდ გავრცელების საკითხი.

გამოვარკვიე:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლემ ს/ს „ლიბერთი ბანკმა“ შპს „საოჯახო ფერმას 2016“-ის და სხვათა მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2022 წლის 16 აგვისტოს დადგენილებით მოპასუხე შპს „საოჯახო ფერმას 2016“-ის მიმართ 2017 წლის 4 სექტემბრის №615.1962306.001-001 საკრედიტო ხელშეკრულების და მის უზრუნველსაყოფად დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მოთხოვნის ნაწილში ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ცნობილ იქნა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლედ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაეგზავნათ მოპასუხეებს, მაგრამ ჩაბარების არაერთი მცდელობის მიუხედავად შპს დავიდეს, ხან კაშიშს, გოჩა ცომაიას, მუჰამმად შაბაბ ხანს და გელა ალავერდაშვილს ვერ ჩაბარდათ.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს შპს დავიდეს, ხან კაშიშს, გოჩა ცომაიას, მუჰ ამმად შაბაბ ხანს და გელა ალავერდაშვილს სარჩელში მითითებულ და არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაგზავნილი სარჩელის ასლი და არბიტრაჟის უწყება ვერ ბარდებათ და ამასთან მისი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, სარჩელის და საქმის განხილვის თარიღის და სარჩელის თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

დავადგინე:

მოპასუხეებს შპს დავიდეს, ხან კაშიშს, გოჩა ცომაიას, მუჰამმად შაბაბ ხანს და გელა ალავერდაშვილს საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

1. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლის ს/ს „ლიბერთი ბანკის“ საარბიტრაჟო სარჩელი შპს „საოჯახო ფერმა 2016“-ის, შპს „დავიდეს“, შპს „ევრო დიზაინის“, დავით ჭუმბურიძეს, ზურაბ ჭუმბურიძეს, ნოდარ ხაბაიძეს, ხან კაშიშის, გოჩა ცომაიას, მუჰამმად შაბაბ ხანის და გელა ალავერდაშვილის მიმართ. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს შპს „საოჯახო ფერმა 2016“-ის, შპს „დავიდეს“, შპს „ევრო დიზაინის“, დავით ჭუმბურიძის და ზურაბ ჭუმბურიძისათვის სოლიდარულად 807604.86 ლარის და საქმეზე გაწეული ხარჯების დაკისრება, ასევე იპოთეკით დატვირთული ნივთების აუქციონზე რეალიზაცია. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნების რეალიზაციით სრულად ვერ დაკმაყოფილდება იპოთეკარის მოთხოვნა, აღსრულება მიექცეს შპს „საოჯახო ფერმა 2016“-ის, შპს „დავიდეს“, შპს „ევრო დიზაინის“, დავით ჭუმბურიძის და ზურაბ ჭუმბურიძის საკუთრებაში არსებულ სხვა უძრავ-მოძრავ ქონებაზე.

2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში წარმოადგინოთ წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) მხარეთა სახელწოდებები;

ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);

გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებელში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;

დ) შესაგებელზე (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.

3. შპს დავიდეს, ხან კაშიშს, გოჩა ცომაიას, მუჰ ამმად შაბაბ ხანს და გელა ალავერდაშვილს ეცნობოთ, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2022 წლის 24 ოქტომბერს, 14:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 40, სართული 11.

4. შპს დავიდეს, ხან კაშიშს, გოჩა ცომაიას, მუჰ ამმად შაბაბ ხანს და გელა ალავერდაშვილს განემარტოთ, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

5. შპს დავიდეს, ხან კაშიშს, გოჩა ცომაიას, მუჰ ამმად შაბაბ ხანს და გელა ალავერდაშვილს ეცნობოთ, რომ საქმეს განიხილავს არბიტრაჟის თავმჯდომარე მამუკა ღვინიაშვილი, ქეთევან დუმბაძის მდივნობით. მათვე განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვთ გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართოთ არბიტრაჟს საქმის განმხილველი არბიტრის ან მდივნის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

6. შპს დავიდეს, ხან კაშიშს, გოჩა ცომაიას, მუჰ ამმად შაბაბ ხანს და გელა ალავერდაშვილს განემარტოთ, რომ უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. შპს დავიდეს, ხან კაშიშს, გოჩა ცომაიას, მუჰ ამმად შაბაბ ხანს და გელა ალავერდაშვილს განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/document/view/1179539?publication=0 და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის ვებგვერდზე: http://acg.org.ge/

8. დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

9. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

BLOOMBERG:

„საქართველო შეგრძნებებს დაგიბრუნებთ“

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალი მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში Bloomberg-ი საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ სტატიას აქვეყნებს.

„**საქართველო — ადგილი, რომელიც თავგადასავლების შეგრძნებებს დაგიბრუნებს**“, — ამ სათაურით Bloomberg-ი მკითხველს საქართველოს სათავგადასავლო ტურისტულ პროდუქტებს, ქართულ კულინარიასა და ღვინოს აცნობს.

„მოგზაურები ახალ მიმართულებებს ეძებენ, ევროპის უკვე კარგად გათელილი ტურისტული მარშრუტების მიღმა, საქართველო ვიზიტორებს თავგადასავლებს სთავაზობს, რომელიც მთელი წელი გრძელდება. რთულია, კარგი ამბები უხმაუროდ დატოვო. 2013-19 წლებში საქართველოში ტურისტების რიცხვი 66%-ით გაიზარდა. პანდემიამდე საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 9.3 მილიონს მიაღწია. საქართველოს მოსახლეობა კი დაახლოებით 3.7 მილიონია. საქართველოს მიმართულებებით პირდაპირი ავიარეისი 53 ქალაქიდან სრულდება.

ზოგიერთ ქვეყანაში ტურისტების რაოდენობის ზრდამ ტურისტული ლოკაციების გადატვირთვა გამოიწვია. ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ვენეცია, ამსტერდამი და ბარსელონა ტურისტებით გადავსებულია, ამ მხრივ საქართველო შედარებით აღმოუჩენელი ქვეყანაა.

Bloomberg-ის ბოლო კვლევების მიხედვით გამოკითხულთა 61% ახალი ტურისტული მიმართულების მონახულებას გეგმავს. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ახალ თავგადასავალს ეძებს, სურს გაეცნოს ახალ კულტურასა და სამზარეულოს. 50%-ს კი ბუნებასთან სიახლოვე სურს. საქართველო საუკეთესო მიმართულებაა დააკმაყოფილოს ეს სასურველი მოთხოვნები. ქვეყნის სტუმართმოყვარეობის დიდი კულტურიდან გამომდინარე მოგზაურები თბილ დახვედრას ელიან. ქართველებისთვის სტუმარი ღვთის საჩუქარია“, — წერს Bloomberg.

სტატიაში დეტალურად აღწერილია საქართველოს ბუნება, იუნესკოს არამატერიალური კულტურული ძეგლები, საზღვაო და სამთო კურორტები, კერძები და ღვინის 8 ათასწლოვანი ისტორია.

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მედია პლატფორმა Bloomberg საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ ორ ვიდეორგოლს იღებს. კამპანიის ფარგლებში სამი სტატია მზადდება, რომელიც სოციალურ ქსელებში განთავსება (Facebook, Twitter, Instagram).

ISNIS რაიონში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა

თბილისის მერმა კახა კალაძემ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ კახაბერ გვანცელაძესთან ერთად, ისნის რაიონში ახლად გახსნილი საბავშვო ბაღი დაათვალიერა.

დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაგა-ბაღი საინგილოს ქუჩაზე მდებარეობს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომელმაც აღსაზრდელთა პირველი ნაკადი 15 სექტემბერს მიიღო, 230 ბავშვზეა გათვლილი და 50-მდე ადგილობრივია დასაქმებული.

„დღეის მდგომარეობით, შვიდი ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც მომავალი წლისთვის დასრულდება. ყველაზე მთავარია ის მიდგომა და დამოკიდებულება, რაც ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით გვაქვს, თუ როგორი უნდა იყოს საბავშვო ბაგა-ბაღები — კომფორტული, ყველანაირად ადაპტირებული, რათა მშობლებს არ ჰქონდეთ საფიქრალი, რომ თავიანთ შვილებს რაიმე სახის პრობლემა ექნებათ. რა თქმა უნდა, ეს სტანდარტი ყოველთვის შენარჩუნდება. კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენს მომავალ თაობებს მსგავსი საბავშვო ბაღები ჰქონდეთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ახალი შენობა ადაპტირებულია შშმ პირთათვის და აღჭურვილია ბავშვთა უსაფრთხოების საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტის შესაბამისად — მოწყობილია სახანძრო უსაფრთხოებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, დამონტაჟებულია უსაფრთხოების ბადეები, ასევე, ეკრანი, სადაც მშობლებს შეუძლიათ, პირდაპირ ეთერში ადევნონ თვალი სამზარეულო ბლოკში საკვების მომზადების პროცესს. ბაღს აქვს კეთილმოწყობილი ეზო სათამაშო მოედნებითა და ატრაქციონებით. პროექტის ღირებულებამ 3 600 000 ლარი შეადგინა.

გახსენება



გიორგი ლორთქიფანიძე

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მშენებელთა რიგებს გამოაკლდა პროფესიონალი მშენებელი, ღირსეული მოქალაქე და კარგი მეგობარი ბატონი გიორგი ლორთქიფანიძე.

მისი სიცოცხლის მთელი პერიოდი ხასიათდებოდა კეთილი ადამიანური თვისებებით და სანიმუშო მაგალითია საქმის მცოდნე, მაღალი ზნეობის, კაცთმოყვარეობის, მეგობრობისა და თავისი ქვეყნის მოყვარული კაცის ცხოვრებისა.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო ბატონი გიორგის შრომითი მოღვაწეობა საქართველოს ყოფილი მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, სადაც მისმა მაღალმა კვალიფიკაციამ და საქმისადმი ერთგულებამ განაპირობა მისი დაწინაურება ყოფილი მშენებლობის სამინისტროს, სამშენებლო სამრეწველო გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით აშენდა მრავალი სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობა, მათ შორის აღსანიშნავია მისი წვლილი ქალაქ თბილისში საბინაო მშენებლობის საქმეში.

მშენებლობის საქმეში გაწეული შრომითი ღვაწლისათვის ბატონ გიორგი ლორთქიფანიძეს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მშენებლის საპატიო წოდება.

ბატონი გიორგი ლორთქიფანიძის, როგორც მშენებელთა ძველი პლეადის ღირსეული წარმომადგენლის ხსოვნა დიდხანს დარჩება მშენებელთა რიგებში.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია, სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“, კოლეგები და მეგობრები.

ცნობილი არქეოლოგი გარდაცვლილი იპოვეს

დმანისის არქეოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი გოჩა კილაძე გარდაცვლილი იპოვეს. ცხედარი ცენტრის ტერიტორიაზე დღის საათებში ადგილობრივებმა ნახეს.

გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

არქეოლოგი გოჩა კილაძე თითქმის 20 წლის განმავლობაში ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი იყო. ის მონაწილეობდა გათხრებში, რომლის დროსაც 1.8 მილიონი წლის წინანდელი ჰომო ერექტუსის თავის ქალები იპოვეს.

რისთვის ემზადებიან ცხინვალში?

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა საშემოდგომო სამხედრო სწავლება დაიწყო. პოლიგონზე, სოფელ ძარწემში, მძიმე ტექნიკა და პირადი შემადგენლობა გაიყვანეს.

„განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხედროების ინდივიდუალურ ქმედებებს. ასევე მოქმედებებს რაზმების, ეკიპაჟების და ჯგუფების შემადგენლობაში“, — წერს ე.წ. თავდაცვის სამინისტრო. ე.წ. თავდაცვის მინისტრი, მარატ პავლოვი კი ოკუპირებულ აფხაზეთში გაემგზავრა, სადაც ე.წ. თავდაცვის მინისტრთან რეგიონული უსაფრთხოების საკითხები განიხილეს. პავლოვი, ასევე, შეხვდა აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანს სერგეი შამბას.

ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის საფასური იზრდება

2023 წლის 1 იანვრიდან ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის საფასური ძვირდება. შესაბამისი ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში შედის, რომლის განხილვებიც პარლამენტში უახლოეს ხანებში დაიწყება.

შესაბამისად, **ახალი წლიდან სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის გაცემა 35 ლარის ნაცვლად განისაზღვრება 100 ლარით; ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ერთი წყვილის გაცემა 35 ლარის ნაცვლად განისაზღვრება 80 ლარით; ავტომობილის დაკარგული ან დაზიანებული რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ერთი წყვილის აღდგენა 35 ლარის ნაცვლად განისაზღვრება 80 ლარით.**

წარმოდგენილი კანონპროექტით მომსახურების სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურებების საფასურების კორექტირება გაზრდის მომსახურების სააგენტოს შემოსავალს, რაც ასევე გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას. მოსალოდნელი შემოსავალია დაახლოებით 40 მლნ. ლარი, რაც მოხმარდება როგორც უშუალოდ მომსახურების სააგენტოს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, საქართველოში ავტოპარკი წელიწადში საშუალოდ 50-70 ათასი სატრანსპორტო საშუალებით იზრდება, ხოლო ბოლო 10 წლის განმავლობაში თითქმის გაორმაგებულია.

„გასათვალისწინებელია, რომ საგზაო მოძრაობის წესების დაცვაზე ზედამხედველობა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მთავარ ვალდებულებას. ავტომობილების გაზრდილი რაოდენობა ასევე პირდაპირპროპორციულად აისახება საპატრულო პოლიციის დატვირთულობის ხარისხზე. მომსახურებების ფასთა კორექტირება გაზრდის მომსახურების სააგენტოს შემოსავალს, რაც ასევე გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას. შესაბამისად, გაზრდილი დაფინანსების ხარჯზე შესაძლებელი იქნება საპატრულო პოლიციის რესურსის ზრდა მის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი“, — აღნიშნულია განმარტებით ბარათში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲡᲐᲥᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲧᲐᲜᲐ

ᲮᲕᲐᲜᲭᲙᲐᲠᲐ

(ᲠᲔ�გ. №1; ᲗᲐᲠᲘᲦᲘ: 14.07.2005 Წ.)

ᲡᲡᲘᲞ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის — საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 30 ოქტომბრის №8454/06 ბრძანების საფუძველზე, შეიცვალა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში — საქპატენტში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ხვანჭკარას წარმოების სფეციფიკაცია.

აღნიშნული ინფორმაცია, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენსა და ერთ ცენტრალურ გაზეთში. მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტში წარმოდგენილი შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუ 3 თვის განმავლობაში საქპატენტში არ შემოვა რაიმე ინფორმაცია აღნიშნულ მასალებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული მონაცემები ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების „ხვანჭკარას“ შესახებ აისახება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სახელმწიფო რეესტრში.

სპეციფიკაციის მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
15. გარდამავალი დებულებები

ამ წარმოების სპეციფიკაციის მე-9 პუნქტის მოთხოვნათა მიუხედავად, ყურძნის გადამუშავება და ღვინის წარმოება დასაშვებია ხვანჭკარას მიკროზონის ფარგლებს გარეთაც, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, 2022 წლის დეკემბრამდე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17Ა

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲡᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ �ᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲜᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲗᲘᲥᲐᲗᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ კუნძულ მალიორკაზე გამართულ მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელოვან ღონისძიებაზე ბათუმმა ტურიზმის ინდუსტრიის პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა.

აჭარის ულამაზეს ქალაქს საკმაოდ ღირსეულ კონკურენტებთან მოუწია ბრძოლა: მატერა (იტალია), მლჯეტი (ხორვატია), დერი (ჩრდილოეთ ირლანდია), კუტნა ჰორა (ჩეხეთი) და სოფია (ბულგარეთი).

World Travel Award-ის პრიზი ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების ნომინაციაში ბათუმმა უკვე მეორედ მოიპოვა. პირველად ეს ჯილდო 2019 წელს დავიმსახურეთ. World Travel Award დაჯილდოება 1993 წლიდან სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიის ყველა სექტორში საუკეთესო მიმართულებების, კომპანიების გამოვლენისა და დაჯილდოების მიზნით იმართება. ჯამში, დაჯილდოებაზე ასობით ნომინაცია და ათასობით ნომინანტი, კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით სხვადასხვა კატეგორიებშია გადანაწილებული. მათ შორისაა წამყვანი სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები, ტურისტული ატრაქციები, მიმართულებები, ტუროპერატორები, ასევე საზღვაო, საგზაო, საჰაერო ტრანსპორტის კომპანიები.

ვულოცავთ ჩვენს ულამაზეს ბათუმს ამ მნიშვნელოვან წარმატებას და კიდევ მრავალ გამარჯვებას ვუსურვებთ.

ᲩᲐᲠᲚᲖ ᲛᲔᲡᲐᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ᲑᲣᲙᲘᲜᲒᲰᲐᲛᲘᲡ სასახლემ დიდი ბრიტანეთის მეფის პირველი ოფიციალური პორტრეტი გამოაქვეყნა. ჩარლზ მესამე მეუღლესთან — დედოფალ-კონსორტ კამილასთან, უელსის პრინც უილიამ და პრინცესა ქეთრინთან ერთად არის გადაღებული.

სურათი ბუკინგჰამის სასახლეში, 18 სექტემბერს მსოფლიო ლიდერებისთვის გამართული მიღების დროს არის გადაღებული, დედოფალ ელისაბედ მეორის დაკრძალვის ცერემონიამდე ერთი დღით ადრე.

ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲰᲐᲙᲔᲠᲔᲑᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲤᲣᲚᲡ ᲡᲫᲐᲚᲐᲕᲔᲜ!

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ, რომლებიც ბევრ დროს ატარებენ კომპიუტერთან, ინეტრნეტ-ჰაკერებისგან კიდევ ერთი საფრთხე ემუქრებათ.

ონლაინ-თაღლითებმა ფულის შოვნის ახალი გზა შეიმუშავეს. იმ ბავშვებს, რომლებიც ხშირად თამაშობენ სხვადასხვა პოპულარულ ინტერნეტ თამაშებს (მაინკრაფტი, ამონდი და სხვ), ვირტუალური გამომძალველები უკავშირდებიან. თავდაპირველად ისინი მოზარდებთან შედიან კონტაქტში და ნდობას იმყარებენ. აქებენ ბავშვებს და სთავაზობენ, რომ გახდნენ ცნობილი ბლოგერები, თუ კი ის მათ თავდაპირველ პროფილს მიყიდის, რაშიც თაღლითები მოზარდს სოლიდურ თანხას სთავაზობენ.

შემდეგ მშობლების საკრედიტო ბარათების ფოტოების გაგზავნას სთხოვენ, იმ მიზეზით, თითქოს თანხა უნდა ჩაურიცხონ, აუცილებელი მოთხოვნაა სურათის გაგზავნისთანავე ფოტოს და პროფილის წაშლა. თუ მოზარდი მოტყუვდა და მშობლების ბარათების ფოტო გადააგზავნა, ინტერნეტ თაღლითები ამ ანგარიშებს პირწმინდად ასუფთავებენ.

გააფრთხილეთ თქვენი შვილები, რომ ასეთ შეთავაზებებს არ დასთანხმდნენ და მსგავსი შეთავაზებისთანავე ჩაგაყენონ საქმის კურსში.

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲥᲝᲒᲣᲚᲘᲐ

ᲡᲕᲐᲜᲢᲔ ᲞᲐᲐᲑᲝ ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲐᲜᲢᲘᲐ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲨᲘ ნობელის პრემიის კვირეული დაიწყო. ტრადიციულად, პირველი გამარჯვებული ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში გამოვლინდა. ლაურეატი შვედი მეცნიერი სვანტე პააბო გახდა, რომელმაც ჯილდო „გადაშენებული ჰომინინების გენომისა და ადამიანის ევოლუციის“ შესწავლისთვის მიიღო.

რამდენიმე დღეში გამოვლინდება გამარჯვებული ფიზიკის, ქიმიის, ლიტერატურის და მშვიდობის დარგში. 10 ოქტომბერს გახდება ცნობილი ვინ მიიღებს ალფრედ ნობელის სახელობის პრემიას ეკონომიკის დარგში. ჯილდოები გამარჯვებულებს 10 დეკემბერს, ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს გადაეცემათ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ „ᲢᲐᲠᲖᲐᲜᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚ ᲔᲙᲠᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ SONY „ტარზანის“ ახალ ეკრანიზაციას გადაიღებს. კომპანიამ საავტორო უფლებები ტარზანის შესახებ წიგნებს ავტორის — ედგარ რაის ბეროუზის მემკვიდრეებთან გარიგების შედეგად მიიღო. ამ ეტაპზე პროექტს არც სცენარისტი, არც რეჟისორი და არც პროდიუსერი ჰყავს, თუმცა ცნობილია, რომ სტუდია ლეგენდარული პერსონაჟის სრულიად ახალი კუთხით წარმოჩენას გეგმავს.

„ტარზანის“ პირველი ეკრანიზაცია 1918 წელს გამოვიდა, რასაც უამრავი კინო, რადიო და ტელეადაპტაცია მოჰყვა, რომელთა შორისაც ყველაზე პოპულარული Disney-ს 1999 წელს გამოსული მულტფილმია. მაიმუნების მიერ აღზრდილ ადამიანზე ბოლო სურათი „ტარზანი. ლეგენდა“ 2016 წელს გამოვიდა. მთავარი როლი მასში ალექსანდრ სკარსგარდმა შეასრულა. სურათის შემოსავალი 350 მილიონი დოლარი იყო.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.8228; ᲔᲕᲠᲝ - 2.7590
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.1618;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.8212; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1529;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6651;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.9699.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+11,	ᲓᲦᲔ	+32
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+7,	ᲓᲦᲔ	+29
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+14,	ᲓᲦᲔ	+26
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+10	ᲓᲦᲔ	+26
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+15,	ᲓᲦᲔ	+32

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge